პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 35 (1464), პარასკევი, 27 აგვისტო, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Культура и ЖИЗНЬ
СОВЕТСКАЯ ГРУЗИЯ

„კულტურა ი ჟიზნის" ფურცლებზე

„საბჭოთა საქართველო" — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ. ძოწენიძის ამ წერილით იხსნება საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საბჭოთა საზოგადოებების ჟურნალ „კულტურა ი ჟიზნის" მერვე ნომერი.

ჟურნალი, რომელიც გამოდის რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ და გერმანულ ენებზე, მკითხველს თავის პირველ ხუთ გვერდზე მოუთხრობს იმ უდიდეს წარმატებებზე, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა რომ მოიპოვეს საბჭოთა ხელისუფლების წლებში. წერილში მოკლედ, მაგრამ თვალნათლივ არის ნაჩვენები ქართული მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევები. წერილს ახლავს საქართველოს ღირსშესანიშნაობათა, ახალმშენებლობათა და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი მრავალრიცხოვანი ფოტოსურათები.

• • •

სურათზე: ჟურნალის მეორე და ჟურნალის პირველი გვერდები. ჟურნალის მეორე გვერდზე მოთავსებულია საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის სოლისტის მზია ყანჩაველის პორტრეტი.

ფილმი მუსა ჯალილზე

„არც თუ ისე ბევრნი არიან ისეთი პოეტები, როგორიც იყო გმირი პოეტი მუსა ჯალილი. მან თავისი სახელი უკვდავყო უკვდავი ქმნილებებითაც და სიკვდილითაც, რაც თავისთავად გმირობა იყო. აი, ისინი: დიდი მარჯანი, მშვენიერი უნგრელი სახალხო პოეტი შანდორ პეტეფი, გმირი ჩეხი იულიუს ფუჩიკი და ბოლოს მუსა ჯალილი" — ამბობდა აზერბაიჯანელი პოეტი სამედ ვურღუნი.

მომავალი წლის თებერვალში საბჭოთა ხალხი აღნიშნავს საბჭოთა კავშირის გმირის, ლენინური პრემიის ლაურეატის, სახელგანთქმული თათარი პოეტის მუსა ჯალილის დაბადების 60 წლისთავს. ამასთან დაკავშირებით თათრეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ სთხოვა კინოსტუდია „ლენფილმს" შექმნას ფილმი მუსა ჯალილზე. ამასწინათ „ლენფილმის" წარმომადგენლები ყაზანს ეწვივნენ. სცენარის ავტორებმა ვ. დუბროვსკიმ, ხ. პოტეპალოვმა, ვ. გრიგორიევმა და ფილმის რეჟისორმა გ. ნიკულინმა შეაგროვეს მასალები მუსა ჯალილზე, ესაუბრნენ მის ნაცნობ-მეგობრებს და ჩაიწერეს მოგონებები.

ფილმის პირობითი სახელწოდებაა „მოაბიტის რვეული".

მეგობართა გასტროლები

რამდენიმე დღეც და საზეიმოდ აიხდება თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ფარდა. — 2 სექტემბერს აქ გასტროლებს იწყებს მოძმე ლატვიის დედაქალაქის — რიგის რუსული დრამის სახელმწიფო თეატრი.

რიგელთა სტუმრობა ერთგვარი საპასუხო ვიზიტია: ამ სამიოდე წლის წინათ თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი მოსკოვში გასტროლების დამთავრების შემდეგ რიგასაც ეწვია.

მარჯანიშვილელებმა აქ რამდენიმე სპექტაკლი გამართეს და გულისხმიერ მაყურებელთა სიყვარულიც დაიმსახურეს. საქართველოს და ლატვიის თეატრალური ურთიერთობა ამით არ დაწყებულა. რიგაში საკმაო ხანს მოღვაწეობდა ქართული თეატრალური ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელი კოტე მარჯანიშვილი.

კოტე მარჯანიშვილმა სწორედ აქ, რიგაში ვ. ნ. ნეზლობინის თეატრში 1904-06 წლებში განახორციელა მ. გორკის „მოაგარაკენი", ჰოლანდიელი დრამატურგის ჰეიერმანის „იმედის დაღუპვა", ი. ნ. პოტაპენკოს „საიდუმლო მრჩეველი" და სხვ.

რიგის რუსული დრამის თეატრს დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი პირველი სპექტაკლები 1883 წელს გაიმართა. ასე რომ, ეს მრავალნაცადი შემოქმედებითი კოლექტივია, რომელსაც თავისი დიდი ტრადიციების მეშვეობით ახლა უნარი შესწევს გადაჭრას თანამედროვე საბჭოთა თეატრის წინაშე წამოჭრილი დიდი პრობლემები, მაყურებელს უჩვენოს საბჭოთა ხალხის გმირული შრომა და ცხოვრება. რიგელთა ეს გასტროლები იმითაც არის საინტერესო, რომ ქართველი მაყურებელი ჯერ კიდევ კარგად არ იცნობს ბალტიისპირეთის მოძმე რესპუბლიკებისა და, მათ შორის, ლატვიის თეატრალურ ხელოვნებას. ახლა კი შესაძლებლობა გვეძლევა საფუძვლიანად გავეცნოთ ამ ძველი ტრადიციების მქონე თეატრის შემოქმედებას. ამას ერთგვარად განაპირობებს თეატრის საგასტროლო რეპერტუარიც. რიგელები წარმოგვიდგენენ როგორც ლატვიელ, ისევე რუს და უცხოელ დრამატურგთა ნაწარმოებებს, სულ 10 პიესას. გასტროლები იწყება დ. პავლოვას პიესა „სინდისით", ამის გარდა, საგასტროლო რეპერტუარშია მ. გორკის „ეგორ ბულიჩევი და სხვები", ა. ანდრეევის „[illegible] ადამიანებო", ნ. ჰიქმეთის „ყველასაგან მივიწყებული", კ. სიმონოვის „ამბავი ერთი სიყვარულისა", ა. ლიევენის „ვინის საფოსტო მარკა", ა. ლორენცის „ვენსხაიდის ისტორია", ვ. შუბერტის „შუაღამემდე ერთი საათით ადრე", ვოლტერის „გულუბრყვილო" და ე. შვარცის „წითელქუდა".

თეატრის მთავარი რეჟისორია ა. კაცი (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე).

რიგელთა სპექტაკლებში ვნახავთ ლატვიის სსრ სახალხო არტისტებს: ე. ბეზნოსკს, ნ. ბარაბანოვს, ს. ვახოლიევს, ვ. გლუხოვს, დამსახურებულ არტისტებს ა. აფუშკას, რ. დაბრანს, ა. ალექსანდროვას და სხვებს.

თბილისელები დიდი ინტერესით მოელიან რიგელთა სპექტაკლებს.

იანის რაინისის დაბადების ასი წლისთავისათვის

სექტემბერში სრულდება დიდი ლატვიელი პოეტის იანის რაინისის დაბადების 100 წლისთავი.

დიდი ხანია, რაც რაინისის პოეზია გასცდა ლატვიის ფარგლებს. პოეტის ნაწარმოებები საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე 109-ჯერ მილიონექვსასი ათას ცალზე მეტი ტირაჟით გამოიცა. ი. რაინისის ლექსების წიგნი ქართულ ენაზე 1961 წელს გამოსცა „საბჭოთა საქართველომ".

საიუბილეო დღეებისათვის ლატვიის გამომცემლობებმა მოამზადეს რაინისის სხვადასხვა წიგნები. საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ქვეყნების ხალხთა ოც ენაზე დაიბეჭდება პოეტის ცნობილი ლექსი „გადამტვრეული ნაძვები". რიგის ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის მუზეუმის თანამშრომლებმა გამოიკვლიეს პოეტის პირადი არქივის მასალები. წაკითხული და შესწავლილია ცხრაასათას გვერდზე მეტი ჩანაწერები ლატვიურ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე, რომლებიც რაინისმა იცოდა. ეს არის პოეტის ნაწარმოებთა ვარიანტები, წერილები და დღიურები. საარქივო მასალებია გამოყენებული დოკუმენტურ ფილმ „სიდიადისათვის", რომელიც რიგის კინოსტუდიამ გამოუშვა.

იანის რაინისის იუბილისათვის საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება" გამოსცემს პოეტის რჩეულ ლექსების წიგნს, რომელიც ქართველმა პოეტებმა თარგმნეს.

ცნობები მოსკოვიდან

ვოლგისპირელთა „დაისი" მოსკოვში

მოსკოვში წარმატება ხვდა დიდი თეატრალური ტრადიციების მქონე სარატოვის ჩერნიშევსკის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გასტროლებს. ცნობილია, რომ ამ თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი კარგად ართმევს თავს რეპერტუარის შექმნის საქმეს. იგი დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა კავშირის ხალხთა საოპერო და საბალეტო შემოქმედებას. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია ზ. ფალიაშვილის ოპერის „დაისის" განახლება.

სარატოვის თეატრმა „დაისი" პირველად 1937 წელს წარმოადგინა. მაშინ ოპერის წამყვან პარტიებს ასრულებდნენ ახლა უკვე საკვეყნოდ ცნობილი მომღერლები ე. შუმსკაია და ა. ივანოვი.

„დაისის" ამჟამინდელი დადგმის დირიჟორია გ. ოთლვოვა, რეჟისორი — გ. ბაგრატუნი, მხატვარი — ე. ბერძენიშვილი, ბალეტმეისტერი — ი. ორჯონიკიძე. აღსანიშნავია, რომ ოპერის პარტიები რუსულ ენაზე სრულდება. მალხაზის პარტიას მღერის ვ. არბუზოვი, მარის პარტიას — გ. ხუანსხოვაი, კიაზოსას — ი. პოპოვი. სარატოველთა ამ სპექტაკლმა მოსკოველები დიდად აღაფრთოვანა. სხვადასხვა გაზეთების რეცენზენტები აღნიშნავენ, რომ ეს არის მაღალმხატვრული და უდიდესად საინტერესო სპექტაკლი, რასაც ხელს უწყობს მუსიკის ემოციურობა.

სარატოველებმა „დაისი" სამჯერ წარმოადგინეს. საკავშირო ტელევიზიამ მოაწყო ერთ-ერთი სპექტაკლის ტრანსლაცია.

ა. სურკოვის ოთხტომეული

თანამედროვე რუსი პოეტის ალექსეი სურკოვის სახელი კარგად არის ცნობილი ქართველი მკითხველისთვის. იგი მრავალჯერ ყოფილა საქართველოში და არაერთი ნაწარმოები მიუძღვნია მისი შესანიშნავი ადამიანებისადმი.

ამჟამად მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა უშვებს ა. სურკოვის თხზულებათა ოთხტომეულს. მოსკოვის წიგნის მაღაზიებში უკვე გამოჩნდა პირველი ტომი. პირველ და მეორე ტომებში შესულია პოეტის ადრეული ლექსები, საინტერესო იქნება მესამე და მეოთხე ტომები, რომლებშიც შევა ნარკვევები, ლიტერატურული პორტრეტები და მოგონებები.

პაველ კორჩაგინის სახელობისა

მოსკოვის ერთ-ერთ კეთილმოწყობილ ქუჩას, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში ბევრმა ახალმა ლამაზმა შენობამ დაამშვენა, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ნიკოლოზ ოსტროვსკის რომანის „როგორ იწრთობოდა ფოლადი" მთავარი გმირის პაველ კორჩაგინის სახელი ეწოდა.

ს. რიჟინაშვილი

29 აგვისტო მეშახტის დღე

მთის გულის მესაიდუმლენი

ნარკვევი

◆

დღეს მეორედ შევიდოდა მაღაროში. უბანში თითქმის ყველაფერი რიგზე იყო. მეათე ჰორიზონტის ლავში მწკრეველი ავთანდილ რობაქიძე ორ საათში ამთავრებდა სანგრევის გაბურღვას. ქვანახშირის მონგრევის მოლოდინში მეშახტეები ოთარ ქათამაძე, ნოდარ აბრამიშვილი და ვასილ ქათამაძე სამაგრ მასალას იმარაგებდნენ, სამთო მექანიზმებს ამოწმებდნენ. წყვდიადში მიჰყვებოდათ ლავში მიმავალი გზა. როცა უბნის უფროსი შეეკითხა, თუ როგორ მიდიოდა მუშაობის საქმე, მწკრეველს არც კი შეუწყვეტია ბურღვა, თავი ოდნავ ასწია და სახეგაბრწყინებულმა მარჯვენა ხელის ცერით ანიშნა, ჩინებულადო.

აქედან 75-ე ჰორიზონტზე ავიდა. აქაც წარმატებით მიმდინარეობდა შპურების ჭრა. დიდხანს უცქირა, როგორ ნელა, მაგრამ მტკიცედ მიიკვლევდა ელექტრობურღი გზას ქვანახშირის სქელ ფენებში. ახლა მხოლოდ მისი გამაყრუებელი ხმა არღვევდა მიწისქვეშ სიწყნარეს. აი, უკანასკნელი შპურიც დაბურღა მწკრეველმა, მექანიზმი გამორთო, ოფლი ჩამოიწმინდა და ბიჭებს გადასძახა:

— სანგრევი მზად არის!

მალე გამოჩნდა აფეთქებელი სოსო ლილუაშვილი. სანამ შპურების ჭრას შეუდგებოდა, საზომი ინსტრუმენტი მოიქცია ხელში. მიწისქვეშა აფეთქებების, ქვანახშირის მონგრევის შედეგად გამოიყოფა მეთანი, გაზები, რაც ერთობ საშიშია და ყოველთვის სიფრთხილეა საჭირო. ამიტომ ამოწმებენ მიწისქვეშა გზებს.

— ყველაზე მეტი ვერაგი მეთანის გაზია. მან სანგრევის ზევით იცის მოკალათება, მაგრამ სად დაგვემალება, — სიცილით თქვა აფეთქებელმა და საზომი აპარატი ჭერს მიაბჯინა. ცოტა ხნის შემდეგ შიგ ჩაიხედა ცალი თვალით და გაიცინა: წესრიგშიაო.

— ჯერ არის კარგად საქმე, გაზი ზომაზე მეტი არ ჩანს!

ისევ შეამოწმა სანგრევი.

შპურების აფეთქება არ შეიძლებოდა.

— გააძლიერეთ განიავება, — გასცა განკარგულება ვენტილაციის ცვლის უფროსმა ზურაბ ისაკაძემ.

მძლავრი ქარივით დაბერა ვენტილაციის მილმა. სუფთა ჰაერის შიშინი გაისმა სანგრევში.

ბოლოს, როცა ყველაფერი რიგზე იყო, აფეთქებელმა გატენა შპურები, კიდევ შეამოწმა გაზი და გასცა განკარგულება, რომ აფეთქება დაიწყოთ.

ცოტა ხნის შემდეგ გაისმა აფეთქების მძლავრი ხმა. [illegible] ქვანახშირის ლოდები ჩამოიყარა სანგრევში. მეშახტეები ერთად შეუდგნენ [illegible], ნაჯახის ნაცვლად ნიჩბები მოიმარჯვეს. გამოცდილმა მეშახტეებმა სანგრევში წინასწარ დაკეს რკინის ფურცლები: მონგრეული ქვანახშირი თავისთავად ეყრება ტრანსპორტიორს.

მწკრეველმა აფეთქებული სანგრევი შემოწმა, შესუსტებული ფენები წერაქვით ჩამოანგრია, ჭერი შეამაგრა.

ამოძრავდა ტრანსპორტიორი. ქვანახშირი გაქანდა ვაგონეტებისაკენ.

უბნის უფროსმა კმაყოფილებით დატოვა ეს ჰორიზონტი. არც ისე დიდი ხნის წინათ უბანში ბევრი იყო მოცდენა, ზედმეტი შრომა, იგრძნობოდა ნაკლები პასუხისმგებლობა, ამის გადალახვა იოლი როდი იყო.

თანდათანობით, დაკვირვებული, აღმზრდელობითი მუშაობისა და ტექნიკურ ღონისძიებათა გატარების შედეგად ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. უბნის მთელი კოლექტივი ახლა ერთი კაცივით მუშაობს. უბანმა ხომ მთელ ტყიბულში ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა კომუნისტური შრომის სახელი. ამით ამაყობს უბნის უფროსი, ამაყობს უბნის თითოეული წევრი, მაგრამ ეს ამასთან ბევრ რამესაც ავალებს მათ. მუშაობის ოდნავ შენელებას, თვითკმაყოფილებას შეუძლია აწყობილი მუშაობის დაშლა, შეფერხება, ახალი სიძნელეების წარმოშობა.

როცა სამუშაო დაათვალიერა, თითქმის ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ რატომღაც დღეს სავენტილაციო შტრეკი არ მოეწონა. აქ გეოლოგიური დაწოლა უნდა ყოფილიყო. მაშ რატომ გამოსცემდა გამაგრებული ნაწილები ხმას? მოეჩვენა, თუ ნამდვილად იყო? სიფრთხილეს თავი არა სტკივა. ადვილი როდია მიწისქვეშ, ბუნების მკაცრ პირობებთან ბრძოლა. მთის გულმკერდი, მტკიცე და მიუკარები, საუკუნეების მანძილზე რომ ინახავს საიდუმლოებას, ასე ადვილად როდი სთმობს პოზიციებს, ასე იოლად როდი იძლევა ქვანახშირს.

შტრეკი დაკვირვებულად დაათვალიერა. დაათვალიერა და სახტად დარჩა. სულ რამდენიმე საათში, რაც ეს შტრეკი ნახა, ბიგები ალაგ-ალაგ წამოხრილიყო, ზოგან შუაზე გადამტყდარიყო. ამჯერად იყო მოსალოდნელი საფრთხე, ცოტაოდენი დაგვიანება და შესაძლებელი იყო ჭერის ჩამონგრევა. ეს გამოიწვევდა მუშაობის შეფერხებას, გეგმის ჩავარდნას, ჩაფუშვას.

— ჯერჯერობით საშიში არაფერია, შემდეგშიც შეიძლება შევაკეთოთ, — განაცხადა ცვლის უფროსმა ამბროსი ბრეგაძემ, რომელიც, როგორც ჩანდა, ქვანახშირის ამოღებით ერთობ იყო დაინტერესებული.

— საქმეს გადადება არ უყვარს, დაგვიანება საქმეს ვნებს. ჭერის ჩამონგრევა ქვანახშირის ამოღებასაც შეაფერხებს [illegible] რამდენიმე დღით. [illegible] — მტკიცედ თქვა უბნის უფროსმა და ცვლის უფროსის [illegible] შტრეკის შესაკეთებლად.

ყველაზე გამოცდილი მებიგეები გოგი აბულაძე, ტარიე კუპატაძე და გრიშა ახაკულია შეუდგნენ დაზიანებული ბიგების გამოცვლას, ჭერის საიმედოდ გამაგრებას.

— კარგი, ჭკვიანი კაცია ჩვენი უბნის უფროსი. აგერ მეშვიდე წელია ამ უბანში მუშაობს და არ მახსოვს ჭერის ჩამონგრევა, შეფერხება, ყოველთვის დროზე იღებს ზომებს. უბნის ყველა მტკივნეულ საკითხს სწავლობს, ყველა კუნჭულში იხედება. აბა აი ის მეზობელი უბანი ნახეთ. ერთ თვეს შეასრულებენ გეგმას, დააქცევენ ლავებს და შემდეგ რემონტი, აღდგენა, თანხების უთავბოლოდ ხარჯვა, — დაუმატა ტარიე კუპატაძემ, როცა ის ის იყო დაამთავრა მორიგი დაზიანებული ბიგის გამოცვლა.

მართლაც ჭკვიანი, გონიერი, გამოცდილი კაცია ტყიბულქვანახშირის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის შახტის მეორე უბნის უფროსი დავით ტუღუში. როცა სამუშაოდ ომიდან დემობილიზაციით ჩამოვიდა, ჯილდოებით მკერდდამშვენებული ქუთაისის სამთო ტექნიკუმში შევიდა. ფრონტზე, სიძნელეებთან, დაბრკოლებებთან ბრძოლაში შეიძინა იგი ვაჟკაცურ შრომასა და საქმიანობას. ამიტომაც აირჩია სამთო საქმე.

ექსპლოატაციაში ახალი შესული იყო შახტი, როცა ტუღუშმა სამთო ტექნიკუმის დიპლომით მოვიდა სამუშაოდ. ჯერ ბრიგადირად დანიშნეს, მალე — ცვლის უფროსად, უბნის უფროსის მოადგილედ, ბოლო 1955 წლიდან უბანს უდგას სათავეში. მის უბანს არ ახსოვს ჩამორჩენა. უბნის უფროსის პორტრეტი არ მოშორდება საპატიო დაფას.

უბანში შეაჯამეს შვიდწლედის გასული ექვსი წლისა და შვიდი თვის შედეგები. ამ ხნის მანძილზე უბნის მეშახტეებმა გეგმის გადამეტებით ამოიღეს [illegible] 122.256 ტონა ქვანახშირი. მოგებულმა ეკონომიამ 94.900 მანეთს მიაღწია, საშუალოდ 23 პროცენტით გაიზარდა მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება.

ახალი წარმატება შახტის არცერთ უბანს არა აქვს. მაგრამ ყოველივე ეს იოლი გზით როდი იქნა მოპოვებული.

იყო ასეთი ფაქტი: როცა კვარტალური მაჩვენებლები დააჯამეს, აღმოჩნდა, რომ გეგმა გადაჭარბებით იყო შესრულებული, მაგრამ თვითღირებულება მეტად ძვირი იყო.

— ეს ჩვენი უბნის კარგ მუშაობაზე არ მეტყველებს — თქვა უბნის უფროსმა და თვითღირებულების შემცირების გზებიც გამონახეს.

სამაგრი ხე-ტყის მასალა ლავებში რჩებოდა და უსარგებლოდ იკარგებოდა. მებიგეებმა პლატონ ონიანმა და ზურაბ გიორგაძემ დააყენეს ამ მასალის ნაწილობრივ მაინც გამოღებისა და მისი ხელმეორედ გამოყენების საკითხი. აზრი ყველას მოეწონა. ამის შედეგად ყოველ 1.000 ტონა ქვანახშირზე 7-8 კუბმეტრი მასალის ეკონომიას მიაღწიეს. მარტო უკანასკნელი სამი წლის მანძილზე უბნის მეშახტეებმა მილიონ ნახევარზე მეტი კუბმეტრი სამაგრი ხე-ტყის მასალა დაზოგეს.

უბნის უფროსის ინიციატივით მარჩან დაიწყეს და დამთავრდა უბანში არსებული მოძველებული კონვეიერების დისტანციურ-ავტომატურ მართვაზე გადაყვანა. 8 მომხვნ ნაცვლად ცვლაში მხოლოდ 2 კაცი სჭირდება, მანამდე მასზე 8 კაცი იყო დასაქმებული. ამ მუშებმა მეშახტის პროფესია მიიღეს და უშუალოდ მუშაობენ სანგრევებში. ზეინკლები ყოველთვის როდი იყვნენ დატვირთულნი. ისინი ზოგჯერ მთელი ცვლა უქმად იდგნენ.

— რატომ არ შეიძლება ძირითად პროფესიასთან ერთად ჩვენ თვითონ შევისწავლოთ ზეინკლობა, რომ საჭირო შემთხვევაში შევძლოთ ამ მოვალეობის შესრულებაც — დასვა საკითხი უბნის უფროსმა მეშახტეთა წინაშე.

ეს აზრი მოეწონათ.

და აი, გაჩნდა მოწინავეთა ჯგუფი. სამი წლის შემდეგ ისინი [illegible] ამ საჭირო პროფესიასაც.

„მადა ჭამაში მოდის", უბნის მეშახტეებს სურვილი აღეძრათ სხვა პროფესიებსაც დაეუფლონ. ახლა უბანში აღარ არის ისეთი მეშახტე, რომელიც 2-3 პროფესიას მაინც არ ფლობდეს. მაგალითად ვ. გოგილაძე მარტო კარგი მწკრეველი კი არ არის, არამედ მებიგეც, გამყვანიც, იცის ზეინკლობა, აფეთქება, გზის ხელობა, მოტორის მართვა. 4-5 პროფესიას ფლობენ მეშახტეები ჯ. ქარქაშაძე, გ. სარალიძე, გ. მამედოვი, პ. ონიანი და სხვები. ათობით მეშახტე კვლავ და კვლავ ეუფლება მომიჯნავე პროფესიებს. პროფესიათა შეთავსება მათ ხალისსა და ენერგიას ჰმატებს.

ბევრი მუშა წარმოებაში თავდადებულ მუშაობასთან ერთად წარმატებით იღებს უმაღლეს და საშუალო ტექნიკურ განათლებას.

ვ. წაქაძე, რომელიც ორიოდე წლის წინათ მოვიდა უბანში სამუშაოდ, ახლა პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მეორე კურსის სტუდენტია. წლევანდელ ქუთაისის სამთო ტექნიკუმის დიპლომები მიიღეს მოწინავე მეშახტეებმა ჯ. [illegible] და ჯ. [illegible].

შვიდწლედის დამამთავრებელი წლიდან უბანს გაზრდილი გეგმა მოეცა. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის უბნის უფროსმა წინასწარ შექმნა ყველა პირობა. დამატებით საექსპლოატაციოდ მომზადდა 5 ახალი ლავი, სადაც დამონტაჟდა ახალი მექანიზმები და მოწყობილობა. ამის შედეგად გეგმები გადაჭარბებით სრულდება. მარტო წლის დასაწყისიდან გადამეტებით 30 ათასზე მეტი ქვანახშირია ამოღებული.

უბნის უფროსს საზრუნავს რა გამოულევს, ქვანახშირის ამოღების პარალელურად ორ ახალ ლავს ამზადებენ, სისტემატურად მოჰყავთ წესრიგში სამთო გზა... აქ მუდამ იმაზე ფიქრობენ, რომ არ შეარცხვინონ, არ დაკარგონ პირველობა, კვლავაც გაამყარონ კომუნისტური შრომის უბნის საპატიო სახელი.

... და მთის გული კვლავ იძლევა და იძლევა ასობით, ათასობით ტონა ქვანახშირს. ნახშირით დატვირთული ვაგონები განუწყვეტლივ გამოაქვთ მიწის ზედაპირზე, დღის სინათლეზე. მოუღლელად, შთაგონებით შრომობენ მეშახტეები, რომ უფრო მეტი და მეტი ქვანახშირი მისცენ სამშობლოს, ახალი წარმატებით დაამთავრონ შვიდწლედი.

სიმონ მერკვილაძე

ივანე თარბა

ლექსები

ჩემი სოფელი

მთებში ჩადგმული ჩემო სოფელო,
განებივრებენ მთების კალთები.
შენთა წყაროთა სიომ მომბერის,
ავმაღლდე შენი ფერდების ნათელით.

ვართ სისხლძარღვებით
                    გადახლართული,
ვით დედამიწა მუხის ფესვებთან.
ჩემს თვალებში ხარ გადახატული
და შენი ფერი მეჭედრება.

მინდა ეს გული გაჩუქო,
რომ არ დავშორდე აროდეს,
ჩემი ბავშვობის მაშუქო,
ჩემი კაცობის ფარ-შუბო,
სულ შენს კალთაში ვხარობდე!

შენ მომანიჭე რწმენა სიცოცხლის,
და მომავლის გზაც შენ გამინათე!
მიტომაც გულით შევისისხლხორცე
შენი აწმყოც და შენი წინადღეც.

მზადა ვარ, თავი მსურს განაცვალო
და შენს დიდებას კვალში ჩავუდგე:
სიმღერაც რომ არ დავიცალცალო
ვუხმობ, ვეძახი ჩემს ტოლ ჭაბუკებს.

მინდა ეს გული გაჩუქო,
რომ არ დავშორდე აროდეს,
ჩემი ბავშვობის მაშუქო,
ჩემი კაცობის ფარ-შუბო,
სულ შენს კალთაში ვხარობდე.

აქ გადაირწა ჩემი აკვანი,
აქ დაფრთიანდა ნათელი ფიქრი;
ის ოცნებებიც, ვხედავ, აქ არის,
აყვავებული ბაღების ირგვლივ!

უშენოდ ყოფნა არ მიწერია
და სხვა სამოთხე არც კი მეგულვის;
შენი ცის ცვარი ჩემი ცრემლია,
შენს სიმღერაში გაბრწყინებული!

მინდა ეს გული გაჩუქო,
რომ არ დავშორდე აროდეს,
ჩემი ბავშვობის მაშუქო,
ჩემი კაცობის ფარ-შუბო,
სულ შენს კალთაში ვხარობდე!

მჭედელი ვიყავ

მჭედელი ვიყავ, ხელმარჯვიანი,
(ახლა ის მადლი როგორ გავიხსენო!)
მძიმე ჩაქუჩის მწყობრი წკრიალი
ექოდ ისმოდა სოფლის გარშემო.

მჭედელი ვიყავ, ჰაი, დედასა!
ჩემთან ვაჟი მყავდა შეგირდად:
მღეროდა რკინა ჩვენს სამჭედლოში
და უხვად რკინას ცეცხლი უკიდა!

უანგმოკიდებულ ნამგლებს, სახნისებს
ვაწრთობდით, როგორც გლეხკაცის
                              იმედს...
გვახალისებდა შრომის ხალისი
და საბერველიც ქშინავდა მძიმედ.

ჩვენს სამჭედლოში ბევრიც დუღდა,
სარკმელს ბზარავდა ქურის ზრიალი;
ირგვლივ ჩინჩხლები ცვიოდა უხვად
და გვევსებოდა გული სიამით.

მაგრამ ჟამთასვლამ თავს დაგვიარა
და ჩვენს სამჭედლოს კერა ჩაუქრო.
იქნებ სიბერე გამეხმიანა,
და ძველებურად ვეღარ ვჩაქუჩობ?

ჩაინავლდა ცეცხლი და საბერველიც
გაბრტყელდა, როგორც ფეხსაცმლის
                              ლანჩა.
იმ დღეებისგან, რომ არ ვიცვა ბევრი,
ორიოდ მუჭა ნაცარი დარჩა!

მაგრამ ჩემს ტკივილს თვით მოვერევი,
ბედო ამაოდ მუშტს ნუ მიღერებ!
მე აქ ვიგრძენი ბედნიერება,
ყრმობის სიმღერაც აქვე ვიმღერე.

ვზივარ და ჩუმად ჩემს შეგირდს
                              ვლოცავ,
შვილს ვლოცავ, გამრჯეს და
                              კეთილდღეობას;
იგი თანდათან წავიდა შორს და
ახლა ფოლადის მდნობელი ჰქვია.

უსაქმოდ დავალ მჭედელი კაცი,
თვალი დაუდგავს მართლაც, სიბერეს:
ნუთუ ჩემი დრო ჩამოიმარცვლა,
და რკინის ენით ვეღარ ვიმღერებ?

ნუ, ნუ გამიკვირდებით, ახალგაზრდებო,
მეც და ძალაც ჯერ კიდევ მერჩის;
მსურს თქვენთან ერთად დიდება
                              დავჭედო
ჩემივე მძიმე ჩაქუჩით ხელში.

• • •

დიდი ხანია, არ მინახავს ბაბუას ბაღი!
მახსოვს მოხუცი, კარვის ჩრდილში გულაღმა მწოლი.
თვალებში სხივი უქრებოდა ჟამთასვლით დაღლილს,
ხოლო მის ირგვლივ ხასხასებდა ფაფუკი მოლი.

მაღლა, სულ მაღლა გასცქეროდა ბაბუა ხეებს,
[illegible] დამღეროდა ბავშვობის ნანას.
ნელა, სულ ნელა ის მიჰყვებოდა იდუმალ ხილვებს
ღრმა ძილისაკენ... იძინებდა მოხუციც წყნარად.

მახსოვს, ქამარში ხანჯალივით გარჭობილ წალდით
დაუყვებოდა ბაღის ბილიკს წელგამართული.
იდუმალ ვგრძნობდი [illegible] მებაღის წადილს. —
იხარონ ბაღმა! — სულ ამ ფიქრით იყო გართული.

ერთხელ, ის იყო, მიაღწია მზემ თავის ზენიტს,
მოხუც ბაბუას უდარდელად ეძინა ჩრდილში.
სუნთქვაშეკრული თავს წავადექ ქურდული მზერით,
რაღა თქმა უნდა, — იდუმალი თან მახლდა შიშიც.

ქამრიდან ჩუმად ავაცალე პირბასრი წალდი, —
ბაბუს ერთგული მეგობარი ყველგან და მუდამ.
ნორჩი ვაშლის ხე, შემოსილი მზითა და მწვანით
საამოდ თრთოდა, მე კი მისი მოკვეთა მსურდა.

ხეს გამეტებით მოვუქნიე... და იმავ წამში,
თითქოს ამბავი ჩასჩიჩინა ჩიტმა ჩიორამ, —
წამოხტა ბაბუ. — რას სჩადით, სულელო ბავშვო!
მე მიყვიროდა, თითქოს თავის ღმერთს უხმობდა.

ვცადე გაქცევა, მაგრამ სირცხვილს სად გავექცევი,
ვიდექ და ვთრთოდი. თავდახრილი ვითვლიდი წამებს;
მოვიდა ბაბუ და ხეს კალთით მოსწმინდა ცრემლი,
მერე ყურები დამქაჩა, დამქაჩა მწარედ.

არა, ბოროტად არ მტუქსავდა მოხუცი იმ დროს,
მხოლოდ საყვედურს ამჟღავნებდნენ თვალები მისი.
ჟამთასვლა ვერვინ შეაჩერა და ახლა ვფიქრობ,
რომ ჭეშმარიტად საყვედურის ვიყავი ღირსი!

წარვიდნენ დრონი... კვლავ ვიხილე ბაბუას ბაღი,
მხრებგაშლილი, გაზრდილი და ნაყოფასხმული.
იმ ვაშლის ხესაც ჩემეული შევნიშნე დაღი
და გამახსენდა მშვენიერი ჩემი წარსული.

და როცა ჩუმად შევარხიე მოვლებმარე ტოტი,
მოწყვეტილ ნაყოფს გავუღიმე და [illegible],
მე მომეჩვენა: აგერ, ჩემი ბაბუა მოდის,
რომ ისევ მწარედ ამიწითლოს ყურები ყმაწვილს.

აფხაზურიდან თარგმნა ალეკო შენგელიამ

— ფასვენიბის დღე.

ფოტო ს. [illegible]

მონოგრაფია „ნაკადულის დედაზე“

ანდრო მირიანაშვილი

სტუდენტი

როდიონ ქორქია

ვუძღვნი ახალ სტუდენტებს

(გამოუგონარი მოთხრობების ციკლიდან)

ილია ხოშტარია

ამ სკოლის მერხს

სიყრმის მეგობრებს

ვძლიეთ სევდა, ღამე მრუმე,
ძმებო ჩვენთვის მა, ინათა!
ნახევარი საუკუნე
განვლეთ ასე სულ პირნათლად.

თითქოს ახლაც ამ ჩვენს ხელებს
დღედაღამ უკავია,
ჩაუქრობი მისი სხივი.
ჩვენში მუდამ უკვდავია.

მთელი გულით მოვიგონოთ
მეგობრობა გვწამდეს მარად.
მათი ხსოვნა უთვალავი
ვინც რომ მიწას მიებარა.

ნეტარ ყრმობის სადღეგრძელო
შევსვათ, მაინც ვერ ავცდებით
ქუთაისის იმ სკოლის მერხს,
იმ დიდ ჭადარს ვენაცვლებით.

ვიცით, ბავშვის ხიფხრული
მოვიგონოთ შრომით, ოფლით,
კიდევ დიდხანს კიაფობდეს
შარავანდედი წუთისოფლის.

მალე სკოლის ზარი დაირეკება.

ფოტო ნ. [illegible]

ჩვენი უწმინდესი მოვალეობა

ალექსანდრე ბეგაშვილი

ზურაბ ლორთქიფანიძე

ომი დაჰქროდა

როგორიც ომი გამოვვლინდა,
ვიხსენებ, წითლად შეღებილები,
დედამიწაზე სისხლივით დაჩნდა —
სიკვდილის ჩემი მწვანე ნიღბები.
ცოტა იცოცხლეთ სხივთა სიხარულით,
არ ჩამოსულხართ შინით სახლში.
საუბედუროდ, უცებ გადახტით
ჰქონდ აკვნებიდან სახლით საფლავში.
გრიგალის ფერმკრთალს ხლეჩდით
ბრაზიანს.
მკერდში ჩაგყიათ მოებმა, კორიდებმა.
თქვენი სიკვდილიც რა ლამაზია.

ოთახში სიკვდილს რა ელოდება.
თქვენს გაელვებას მარადის ვხატავ,
ის, სულგრძელობის ლურჯი ზღვარია.
უნაღვლოდ და უზიანოდ
ვიცოცხლოთ?
შაიშე სიზმარია.
ყოველი წუთი გულს მეფერება,
პაემანი მაქვს ყველა დროებთან.
ომი დაჰქროდა
და სიტურფეებით
ზედ-ზედ სიცოცხლეებს ველად სტოვებდა.

შ ე ნ

მე გაგიხატე — გაგატარებე...
მკერდზე მიგყავარ ოცნის მარაგად.
ჩემი სიცოცხლე —
სულ გამჭვირვალე
მინდა ჩაგაცვა ტანზე პერანგად.
შენ გაგიხატე, გაგატარებე,
მუშხუნა ფერად სულში მოწვეთავ.
შემომხედეს შენი თვალები,
შენი მწვანეების გავხდი მოწმეთა.

არავინ გაგივილოს სიტურფის მზენი,
ხავერცი გაგიმჩნევ — ხავერცით
იფარის.
ჩემი ოცნების დაშინისებრ მკრთალი
ველზე დაკლდა — არ გაითვალი.
შენ ხარ მშვენება ანახვენებული
ხილვა-მაზრათა... ფიქის სარაჩე...
ჩემი ფიქრები მეხნისებრი
ძგერდებით, გზებში დაგზრდეს დარაჩად.

მ უ შ ხ უ ნ ა ჰ ა ე რ ი ა

რა წარმტაცი გაზაფხული,
როგორ არ დაგიჩოქო.
ოცნებით, სიცოცხლებო! —
სადმე არ გადასხივოთ.
გადოფრილი მინდვრებივით
მთაზე ამოგიწვევთ,
უცხარ ფერიადათ
მზე — წითელი მამალი,
უცებ არ განმანშორდ,
შენი თმებით დამაბი...
მთები — მაღალ სამშობლოს
თეთრი მუხლისთავები.
ქვევით ქარიზე მოოროლავი
მინდვრებია სამერნე.
ხევი, — ფერადოვანი
რუსთაველის სამელნე.

ზევით ვიწვა სიცხეში,
კლდის ძირის მზისპირა.
ქნიმა ნაირ ცისფერში
ლანდად გადირთა ნისლეანი.
მუშხუნა ჰაერია,
და ჰაერი მწვანეა.
სიცოცხლეთის ფერია,
მზერა, შენი სულია.
უცებ არ განმანშორდ,
შენი თმებით დამაბი...
მთები — მწვანე სამშობლოს
თეთრი მუხლისთავები.
მინდა თვალის მოაწრება,
ელვა-მეხის ჰქქებით,
სულ ამაწო, ოცნებავ,
სადღაა გადაქრებები...

აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავისათვის

დიდი პოეტის ვაჟიშვილი

აკაკი წერეთლის ერთ-ერთი ლექსი ასე იწყება:

შვილო ალექსი!
მსურს გითხრა ლექსი.

და პოეტსაც „ალექსი" ჰქვია. ეს სახელწოდებული ზღაპარი — პოეტის დიდმა პოეტმა თავის ვაჟიშვილს ალექსის მიუძღვნა.

ალექსი წერეთელი 1869 წელს დაიბადა. ლამაზი, ზრდილი, სიმპათიური, კეთილშობილი და კეთილი გულის — ასეთად ახასიათებდა ალექსი წერეთელს გამოჩენილი ქართველი მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი.

ალექსი ინჟინერი იყო, მაგრამ თავიდანვე მუსიკამ გაიტაცა და საოპერო საქმიანობაში [illegible]. საერთო განათლებამ მხატვრული ალღო განუვითარა. მან შეადგინა საოპერო დასი, რომელმაც არაერთი საინტერესო ფურცელი ჩაწერა რუსული ვოკალური ხელოვნების ისტორიაში. პოეტ ნიკო ფალიაშვილის მონაწილეობით, მისი დასი ერთხელ თბილისშიც ჩამოვიდა და წარმოდგენები გამართა.

ალექსის დასი ანდამატივით იზიდავდა საუკეთესო მომღერლებს და მალე იგი ვოკალისტ-ვარსკვლავების სამჭედლოდ გადაიქცა. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ალექსი წერეთელი ხარკოვში მოღვაწეობს. საქართველოს თეატრალურ მუზეუმში ინახება რამდენიმე „ადრესი", რომლებშიც უცხოელები დიდად აფასებენ მის მიერ გაწეულ ამაგს. მაგალითად კომპოზიტორმა ა. ტარმა 1898 წლის 14 თებერვალს ალექსის მიუძღვნა კანტატა „ხელოვნების ზეიმი", რომლის ნოტების ორიგინალი თბილისშია დაცული.

„თქვენი ბენეფისის დღეს, — სწერდნენ ხარკოვის საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლები 1899 წლის 27 თებერვალს, — ხარკოველები გიძღვნიან წრფელ და გულთბილ მადლობას თქვენს მიერ გაწეული საგანმანათლებლო მოღვაწეობისათვის. ხუთი წლის განმავლობაში ჩვენს საოპერო თეატრს ხელმძღვანელობდით და ეს 5 წელიწადი ოქროს ფურცლად შევიდა რუსეთის საოპერო საქმის განვითარებაში".

მალე ალექსის დასმა აალაპარაკა მოსკოვის მუსიკალური საზოგადოებრიობა, რომელმაც გულთბილად მიიღო ხარკოვიდან ჩასული გასტროლიორები. 1900 წლის 2 მარტს მოსკოვში პირველად დადგა რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „მეფის საცოლე". ამ სპექტაკლის დადგმითაც გამოეხმაურა იქაური მუსიკალური პრესა. ანტრეპრენიორობაში ალექსის მამა დახმარებას არ აკლებდა, მაგრამ მან მაინც ვალების მეტი ვერაფერი შეიძინა. ამის გამო ხელოვნების მოტრფიალე რამდენიმე წელიწადს განზე გაუდგა წამოწყებულ საქმეს და იგი მხოლოდ 1904 წელს განაახლა. ამიერიდან ალექსი დასის თვისობრივ გაუმჯობესებაზე ზრუნავდა. ამჯერად ალექსი პეტერბურგს გადავიდა და იქაური აილო კონსერვატორიის დარბაზი. შალიაპინების სახლ-მუზეუმის არქივში აღმოჩნდა გლაზუნოვის წერილი, რომელშიც იგი 1905 წლის დამლევს დიდ მომღერალს ატყობინებს ალექსი წერეთელთან მოლაპარაკების შესახებ. სათავადაზნაურო საკრებულოს დარბაზზე, — სწერს კომპოზიტორი სცენის გოლიათს, — უარი გვითხრეს, რის თაობაზეც, თავს ვალდებულად ვრაცხ გაცნობოთ. ამის გამო მოლაპარაკება გვქონდა თვით წერეთელთან კონსერვატორიის დარბაზის შესახებ და კეთილსასურველი პასუხი მივიღეთ... წერეთელი გვთხოვს კონსერვატორიის დარბაზს ორკესტრითურთ. ხომ არ მოისურვებ იმღერო ორკესტრთან ერთად?

ალექსი წერეთლის საოპერო დასმა პეტერბურგში სეზონი გახსნა 1904 წლის 27 ივლისს. წარმატებით დაიდგა ახალი ოპერები: „ვაი ჭკუისაგან", „ფაუსტის დალუპვა", „კომები", „ქალბატონი თითი"... მომდევნო წელიწადს ძველ მეგობრებს, როგორც პეტერბურგის გაზეთი „რუს" იუწყება, შეემატნენ განთქმული იტალიელი მომღერალი ლინა კავალიერი, ბრწყინვალე ტენორი მაზინი, ბატისტინი, ბაყარინი, ანსელმი და სხვები.

1905 წლის ზამთარში ალექსი წერეთელმა თავის დასში ვანო სარაჯიშვილიც მიიწვია. მან, — წერს საქართველოს ხელოვნებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში შალვა კაშმაძე, — ბევრი მაშინვე დაარწმუნა და უკან მიიტოვა... დამსწრეთა მოწმობით, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარში პეტერბურგში არც ისე იოლად იშოვებოდა სამხრეთის ვარდი, ვანოსათვის ალისფერი თაიგულების მირთმევას ბოლო არ უჩანდა.

ვანო სარაჯიშვილს ტკბილ მოგონებად დარჩა ალექსი წერეთლის დასში გამოსვლა. კერძოდ, იგი ხშირად გაიხსენებდა ხოლმე, „ტრავიატაში" ულამაზეს ლინა კავალიერის რომ უწევდა პარტნიორობას. ქართული ოპერის ჯადოქრის მაშინდელი წარმატებით აღფრთოვანებული იყო [illegible], რომელმაც სხვა [illegible] ერთად ვანოს მოუსმინა ოპერებში — „რიგოლეტოში", „ტრავიატაში", „მარგალიტის მაძიებლებში"... პუჩინის პარტია ვანომ იტალიურად შეასრულა.

ალექსი წერეთლის დასის სახელი რუსეთის ფარგლებს გარეთაც დაირხა. იგი კარგად გაიცნეს, მაგალითად, პარიზში. სხვათაშორის, 1909 წლის [illegible] გამგზავრებულ აკაკის ალექსი მარსელში შეხვდა. „არ ვიცი მე მომეწება, თუ ჩემს ჯიბეს", — ეხუმრებოდა აკაკი თბილისში მოწერილ ერთ-ერთ წერილში. გადიოდა წლები. ვინ იცის რამდენმა კაცმა გაიცნა ლუკმა-პური ალექსის წყალობით. მოვიყვან ერთ ეპიზოდს. 1926 წლის გაზაფხულზე ტაქსის მძღოლს ი. გორბოვს ჩვეულებრივი „მზიანი დღე" გაუთენდა — მგზავრები არა ჰყავდა. უეცრად მილეთის ხალხიდან გამოვიდა ნაცნობსახიანი კაცი და მიმართა მძღოლს:

— თავისუფალი ხართ?

— დაბრძანდით, ფიოდორ ივანეს-ძევ!

— რუსულად უპასუხა შეცბუნებულმა.

ერთმანეთი გაიცნეს. ი. გორბოვს ჯერ კიდევ ჰაბეკებაში მოესმინა შალიაპინის ბრწყინვალე სიმღერა პეტერბურგში. ცოტა ხანს ისაუბრეს.

— ხმით ვგრძნობ, რომ თქვენ მღერით! — შენიშნა „ვოკალისტთა მეფემ".

— დიახ, ვმღერი, გატაცებული ვარ სიმღერით.

— მაშ, ასე, — მოულოდ მიუგო შალიაპინმა, — მე [illegible] „რიგოლეტოს" [illegible] ჭკუაზე დაიწყო, მაგრამ იგი კომერციული საქმე კი არ არის, სახელის საქმეა: რუსული მუსიკის პროპაგანდა!

გადიოდა ორი კვირა და ი. გორბოვი ალექსი წერეთლის საოპერო ჯგუფში ჩარიცხეს. ეს მომენტი ორივეს — შალიაპინსაც და გორბოვსაც ნათელ მოგონებად დარჩათ და ამიტომ ისინი თბილად იხსენებდნენ ჩვენს სახელოვან თანამემამულის ვაჟიშვილს. ზამთრის სეზონის რეპერტუარში შევიდა: „ალი", „ბორის გოდუნოვი", „მთავარი იგორი", „სადკო", „მეფის საცოლე", „ოქროს მამალი" და სხვა ოპერები. სპექტაკლებს წილად ხვდა დიდი წარმატება. რუსულმა ოპერამ ფრანგებზე მნიშვნელოვანი შთაბეჭდილება მოახდინა. ა. წერეთლის მეცადინეობით ასე ადგერდა დიდებული რუსული მელოდიები პარიზსა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში.

ალექსი წერეთლის დასში დიდი რუსი მომღერლის თ. შალიაპინის მონაწილეობის ერთი საინტერესო ფრაგმენტი აღწერა ცნობილმა მომღერალმა და კინომსახიობმა ა. ვერტინსკიმ. შალიაპინის გამოსვლა პარიზში, — იგონებს იგი 1927 წელს, — წერეთლის საოპერო დასის დირექციამ არნახული ბრწყინვალებით მოაწყო. გასტროლებისათვის რომ ევროპული ხასიათი მიეცათ, შეიქმნა „რუსული ოპერა". ორკესტრი და გუნდი საგანგებოდ გამოიწვიეს რიგიდან, დეკორაციები დაამზადეს იმ ხანად ემიგრაციაში მყოფმა საუკეთესო რუსმა მხატვრებმა. მთელ ევროპაში შეაგროვეს ოპერისა და ბალეტის რჩეული მსახიობები და დირიჟორები... პირველ სპექტაკლად უჩვენეს „ბორის გოდუნოვი"...

ალექსი წერეთლის წარმატებებით წახალისებულმა ფრანგებმა დასი იქაური აილეს და საფრანგეთის გარდა მისი საოპერო-კონცერტები ბელგიის ქალაქებშიც გამართეს. წარმოდგენებს დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა. ალექსის ნაცნობთა გადმოცემით, იგი უანგარო კაცი იყო და შემოსავლის ანგარიშიანობას ახლოსაც არ ეკარებოდა. რამდენი დასი გამოკვება, იმ თანხას სხვებს ურიგებდა. ამიტომ უყვარდათ იგი გულმხურვალედ.

გადიოდა წლები. ალექსის სახელი კი არ იშლებოდა გამოჩენილი ადამიანთა გონებიდან. 1931 წლის 25 აპრილს თ. შალიაპინი რიგიდან ატყობინებდა თავის ქალიშვილს: „დღეს აქ ვმღერი ლატვიური ოპერის მეორე სპექტაკლში და მივემგზავრები ლონდონს, სადაც დიდი სეზონი გვექნება წერეთლის რუსულ ოპერას. ალბათ, არანაკლებ 12-14 სპექტაკლში ვიმღერებ".

ლონდონი, პარიზი, პეტერბურგი, ხარკოვი, თბილისი — აი ქალაქები, რომლებიც ალექსის ნაყოფიერი მოღვაწეობის წლებში და ბოლოს იგი თავს დასტრიალებდა ავადმყოფ დედას — ნატალია ბაზლევსკაიას. იგი უსაზღვროდ დაამწუხრა მშობლის სიკვდილმა. მალე თვითონაც სასიკვდილოდ მიუკაკუნა და პარიზში გარდაიცვალა.

ი. ჯავახიშვილი

* * *

სურათზე: აკაკი ცოლ-შვილში.

მეზობრის გული

იაკინთე ლისაშვილი

• მოთხრობა •

ა ხ ლ ა დ დამდგარ გაზაფხულზე, როცა შემობარება ნაავსა დაჰკრა და ხის ტოტებული რტოები, თითქოს ბლეინებსო, მიმოარხევა, პავლე თავის სოფელში კოტლი დაბრუნდა. მეზობლები მიესიენენ; ომიდან შინ მშვიდობით დაბრუნებას ულოცავდნენ და ათასგვარ კითხვებს აყრიდნენ.

პავლე ჯოხის ბიჯებით ხან ერთს, ხან მეორეს მიუბრუნდებოდა, მუსაიფობდა:

— გმადლობთ, იცოცხლეთ! ცოტას შევისვენებ და ყველაფერს გეტყვით.

იქვე, სოფლის საბჭოს წინ, ავტო შეჩერდა. ჩამოსულები პავლესაკენ გამოეშურნენ. წინ წამოსულმა წამოიძახა:

— ამას ვის ვხედავ! პავლე დაბრუნდა?

— დავბრუნდი, გაბრიელ, მარა...

— ეს არაფერია, სიცოცხლე მოგცეს! პავლეს მოეხვია და გადაკოცნა.

— ღმერთმა აგაშენოს! პავლე რომ დაბრუნდა, ჩემი წასვლის ჯერიც დადგა. მშვიდობით შემცვალო! — ჩაილაპარაკა მეორემ, ახალგაზრდა კაცმა, და პავლეს ხელგამოწვდილი მიეჭრა.

— ჩემი დაბრუნება შენს გამგზავრებას არ ნიშნავს, სანდრო.

— მაინც ასე მოხდება. ამას ჩვენი თავმჯდომარეც დამიდასტურებს; რას იტყვი გაბრიელ, ასე არაა?

გაბრიელი ჩაფიქრდა. მერე ყრუდ წაილაპარაკა:

— კაცმა რომ თქვას, ჩვენი ბრიგადირი მართალია. სამართალმა პური ჭამოსო. ახლა პავლე შეცვლის და ძველი მეგობრები [illegible] გამოვიყვანთ...

სანდრო მალე არმიაში წავიდა, ხოლო მის მაგიერ ბრიგადირად პავლე აირჩიეს.

პავლეს ისეთი გრძნობა ქონდა, თითქოს სანდრო არმიაში მის მაგიერ წასულიყო: „არმიაში რომ დავრჩენილიყავი, სამზარეულოში ჭურჭლის მრეცხავად მაინც გამოვდგებოდი. ჩამოვედი და..." — აქ აზრი უწყდებოდა. მერე თვალწინ დაუდგებოდა სანდროს ცოლი, მედეა, ძუძუმწოვარა ბავშვით ხელში, და გული უჩუყდა.

„ოჯახს მაინც დავეხმარები, — შევეცდები არაფერი მოვაკლო" — ამბობდა თავისთვის.

პავლეს დედა გრძნობდა, ომიდან დაბრუნებულ შვილს რაღაც აწუხებდა, მაგრამ არაფერს ეკითხებოდა, მიზეზი თავის დროს იქნებ თვითონ მითხრასო.

პავლე კი დუმდა, ალიონზე დგებოდა, კარს ფრთხილად გამოაღებდა და მიდიოდა.

დედას ჭიშკრის ჭრიალი რომ შემოესმოდა, ხედავდა, ეზოდან პავლე გავიდოდა და ფიქრს ეძლეოდა: „ნეტავი ამ ალიონზე სად მიდის? რაღაც აწუხებს და გამირბის. იქნებ კოლექტივში მაინც მოისვენოს, გაერთოს ცოტათი" — თვითონაც ლოგინში ვეღარ ჩერდებოდა, ადრიანად დგებოდა.

თემშარაზე გასული პავლე უკვე ომის გზებზე დამდგარ სანდროს ხედავდა. ომის ის სამიში გზები თვითონაც გამოევლო და არ შეშინებია. ახლა იქ სანდროს ხედავდა და უკვე შფოთავდა. დაცარიელებულ გზაზე ჯოხის რაკუნით თოკავდა მანძილს და გასაგონად მიბუტბუტებდა:

„ჰო, აქ სანდროს ოჯახს უპატრონოდ არ დავტოვებ, არ გავუჭირვებ".

იმ დღეს სანდროს კარ-მიდამოს გვერდით ჩაუარა და ჭიშკართან შეჩერდა:

— მასპინძელო! — დაიძახა.

ძაღლი ყეფით მიეჭრა.

— შენთან საქმე არა მაქვს; სადურთლოზე ვარ მოსული. არადა, შენებით ფეხმოტეხილმაც ვერ შემაშინებ.

ამ დროს ქალის ხმაც მოისმა:

— მობრძანდით! — ოდა-სახლის აივანზე ჩვილი ბავშვით ხელში ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა. ჭიშკრისაკენ გამოემართა. ძაღლს გაუჯავრდა, — გამოდი, წარბა, გვეყოფა! — რომ მიახლოვდა, წამოიძახა: — პავლე? დილა მშვიდობისა! მობრძანდით! როგორ ვიფიქრებდი! როგორ შეწუხდით! — ჭიშკარს რკინის რგოლი ახადა, გააღო.

— გამარჯობა. საქმე მქონდა, მარა ძაღლი გამიჯავრდა, — და ეზოში ჯოხის ბაკუნით შევიდა.

— ძაღლს რა ბრალი აქვს. ძაღლმა კი არა, ადამიანებმა დაკარგეს გონება და ერთმანეთს ძაღლებივით დაუნდობლად წეწავენ.

— ეს მართალია, მარა ამაში ბრალი ჩვენ როდი მიგვიძღვის. ჰო, აგერ ჩამოვჯდეთ და ყველაფერს გეტყვით, — ეზოში დაგდებულ მორზე დაჯდა.

— შინ შემობრძანდით.

— ქალბატონო მედეა, ჩემსა და სანდროს მეგობრობის ამბავი, ალბათ, ნახევარიც არ იცით. ერთად მოვდიოდით ბავშვობიდანვე, სკოლაში თუ შრომაში. ჰოდა, ახლა საქმეზე: თქვენი ოჯახის ავკარგი ჩემიც არის და უპატრონოდ მიტოვების ნება არა მაქვს. აგერ, გზიდან თქვენი ვენახი გადავხედე, ვერ მოვითმინე და შემაწუხეთ. დროა და ვენახს შესხურება სჭირდება. ახლა, არა და, საღამოსათვის თუ ნებას მომცემთ, თვითონ გავაკეთებ ყველაფერს; ამ საქმეში მეც რამე მესმის.

— როგორ, თქვენ როგორ შეგაწუხოთ, ბატონო, დაილუპოს, ისედაც ღლეტავს ქვეყანა.

— არა, ამის ნებას ვერ მოგცემთ. რაც დაიღუპა, ისიც გვეყოფა. რისი გადარჩენაც ჩვენს ხელთაა, უნდა შევშველოთ.

ხისძირას დასხდნენ.

— თქვენ როგორც გნებავთ, მარა...

— სანდრომ რა მოგწერათ?

— კარგად ვარო, მარა...

— ჰო, კარგად იქნება! — უთხრა და წამოდგა. ჭიშკართან რომ მიაღწია, შეჩერდა.

— ჰო, რას ვამბობდი, სხვა მხრივ ხომ არაფერი გჭირთ? ნუ მომერიდებით, ყველაფერი შეიძლება გავაკეთოთ.

— გმადლობთ, ბატონო პავლე. ახლა სადაცაა ჩაის კრეფა დაიწყება, ამ ბალანსს ბავშვით ჩავაბარებ და კოლექტივში გავალ.

— ყოჩაღ. დიახ, ეს კაია, მარა, ბავშვს რომ მოშივდება და დედის რძეს ინდომებს, მაშინ რაღა ქნათ?

— ძროხის რძეს ავწოვებ, სხვა რაღა გზაა.

— დედისა სჯობს და ამაზეც საჭიროა ვიფიქროთ. ჰო, კარგი, კარგი. ახლა ნახვამდის!

— გმადლობთ, ბატონო.

— საერთო საქმეში მადლობა და ბოდიში უადგილოა, — ყოჩაღად იყავით!

გაოგნებული, თანაც იმედმიცემული მედეა ეზოში თვალებგაბრწყინებული მიმოდიოდა, ბავშვს გულში იკრავდა.

* * *

თემშარაზე გასული პავლე კმაყოფილი მიაბიჯებდა. თავზე კაკუნებულ ჯოხსაც უფრო თამამად მიარაკუნებდა მიყრუებულ გზაზე: „კარგია. შემოსვლაც არის და დახმარებაც აღარ მოვაკლებ. სანდროს ოჯახი ყოველგვარი პატივის ღირსია" — ფიქრობდა.

ახლა საბავშვო ბაღისა და ბაგის ეზოში შევიდა.

ბავშვები მხიარულად მიესივნენ და აჭრიალდნენ:

— ძია მოვიდა!

— ჯოხიანი ძია მოვიდა!

— ბავშვებო, თქვენი უფროსები გამომიძახეთ, — უთხრა და ბავშვები ისევ აყვირდნენ:

— დეიდა ნადია!

— დეიდა ნარგიზა!

ორსართულიანი სახლის აივანზე შუახნის, თმაშევერცხლილი ქალი გამოჩნდა.

— ქალბატონო ნადია, თქვენთან საქმე მაქვს! — გასძახა პავლემ.

— ახლავე, მობრძანდით! — გამოეხმაურა ნადია და კიბეზე დაეშვა. მას ახალგაზრდა, თვალმაღალი ქალიშვილიც ამოჰყვა.

— გამარჯობათ! — დაასწრო პავლემ. — ჰო, ნარგიზაც აქაა და მეც ეს მინდოდა.

ხის ძირას დასხდნენ.

— მოკლედ მოგახსენებთ: თქვენც იცით, სანდრო სირიამე ომში რომ წავიდა, შინ ცოლი და ძუძუმწოვარა ბავშვი მარტო დატოვა. ჰოდა, მედეა, იქნებ თქვენთან მოვაწყოთ. სხვისას და თავისას აქ ერთად მოუვლის, — თქვა და რატომღაც ნარგიზას შეხედა.

ნარგიზა გაწითლდა. ნადიას გადახედა. მერე ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა:

— დიახ. თქვენ მართალი ბრძანდებით. მედეას შეეძლია შემცვალოს. ჩაის კრეფა მეც შემიძლია.

ნადიამ გაუღიმა.

— თუ ასეა...

— კარგი გოგონა ხარ და თუ ნადიაც თანახმაა... ჰოდა, ახლა ნახვამდის! — თქვა და წავიდა. ეზოდან რომ გადიოდა, ნადიას ხმა მოესმა:

„ჩემო ნარგიზ, რა გულკეთილი გოგონა ხარ!"

ნარგიზა იცინოდა:

„მე ქალიშვილი ვარ და ჩაიში გავალ".

— ისეც ასე... — ჩაილაპარაკა პავლემ და ფეხს აუჩქარა, თავის ეზოში რომ შევიდა, იქვე დედა დაინახა და მიაძახა:

— ნენა, შენ აქ ქათმებს აპურებ, ჩვენ კი უპატრონოდ დარჩენილი ოჯახები უნდა დავპატრონოთ და მოვუაროთ.

— ნენა, რაღაც გიხარია და მეც გამახარე.

— კაი საქმეს ვაკეთებთ და ეს მიხარია.

— იცოცხლე, ნენა, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, შეგეწიოთ.

— ჰო, ახლა მაჭამე და უნდა გავიქცე.

— ახლავე, ნენა!

დედა დაფაცურდა. სადილი გამოიტანა და შვილის პირდაპირ თვითონაც დაჯდა.

„შეხედე, ნენა, სულ ომში დაღუპულ მამაშენს გავხარ, დაუდგრომელი, მოუსვენარი".

II

ს ა ღ ა მ ო ს, როცა გადახრილმა მზემ მთის ზღვა საცრებივით აჰკრიალა, პავლე, სახელოვანი მაკრატლით ხელში, უკვე სანდროს ვენახში იყო.

ისე ფეხაკრეფით მოვიდა, ძაღლმაც ვერ გაიგო.

ეზოში ბამბოსულ მედეას სახელოვანი მაკრატლის ჩახაჩუხი შემოესმა და მაშინვე მიხვდა, ვინც იქნებოდა.

— ბატონო პავლე, თქვენ უკვე აქა ხართ? — გადასძახა ვენახში. — რატომ ვერაფერი გავიგე?

— ისევ შეწუხება აღარ მინდოდა. ჩემთან მოვედი. როცა დრო ვიხელთე, ასე წამოვედი და გავაკეთებ რაც შემეძლება, ისეთ რამეებს, სადაც ქალის ხელი ვერსად სწვდება და კაცის სჭირდება.

— ღმერთო, რა ღვთისნიერი კაცი ყოფილხართ. არ ვიცი რა ვქნა, როგორ შემოგიწიოთ.

— მშვიდის ფქვილი არ მისცხვება, რომ გადამიხადოთ. დღეს თქვენთვის საქმეც გავიგე. ორშაბათიდან ბავშვს ბაგაში მიგიყვანთ და ბრიგადაშიაც იქნებით.

— როგორ? — გაოცდა მედეა.

— მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ.

— მე ჩაისაც შევძლებ, ბატონო პავლე.

— ასე სჯობდა და გავაკეთოთ.

მედეა დაიბნა, გაიარ-გამოიარა, ბავშვი გულში ჩაიხუტა, ფეხს აუჩქარა, წავიდა.

„ასეთი ქალი განა ქვეყანაზე ბევრია?" — იფიქრა პავლემ.

ვენახში სახელოვანი მაკრატლის ჩახაჩუხი კარგა ხანს ისმოდა. ბაღის ჭიშკართან წარბა მიწაზე დამჯდარიყო და [illegible].

ძაღლმა თითქოს მადლობის გამოსახატავად კუდი გააქნია და შორიდან დაუყნოსა.

პავლე გაპარვას აპირებდა, მაგრამ მედეას ხმაც მოისმა:

— იცით, ბატონო პავლე, რა საქმე მიყავით? ახლა კი ვერ გაგიშვებთ, აგერ აივანზე, ერთი-ორი ჭიქა მაგ ვენახის ღვინო მიირთვით; გვეყუთვნით, მთელი მოსავალიც გვეყუთვნით.

— არა, ეს ნამეტანი იქნება, მარა ერთ ჭიქა ღვინოზე უარს ვეღარ გეტყვით.

— დიახ, მობრძანდით.

აივანზე რომ ავიდნენ, პავლემ გაშლილი სუფრა დაინახა და უეცრად შედგა:

— არა, ამას ვერ გავატარებ. აქ თქვენთან დასასვენებლად კი არა, მოსაშველებლად ვარ მოსული, — გულწრფელად იუწყინა პავლემ.

— როგორ გეკადრებათ, ჩვენი მტრები დაიქცეს, ბატონო პავლე. თქვენთვის მირთმეული ოჯახს კი არ დააკლდება, მოემატება.

— ახლა გავატივებთ, რა გაეწყობა, — ჩაიბუზღუნა პავლემ და მაგიდას მიუჯდა. მან პირველი ჭიქით სანდრო ადღეგრძელა:

— მშვიდობით დაბრუნებას უსურვებ. მერე თავისი ცოლ-შვილის გახარებასა და ბედნიერებას.

— გმადლობთ! იცოცხლეთ!

პავლე ერთ საათში წავიდა. გზაზე მიდიოდა ისე, და ჯოხის ხმა თითქოს უკვე მამოვრებდნენ ერთმანეთს და თვითონაც ამყოლა: „ჰო, როცა მედეა შინ არ იქნება, მაშინ მისვლა აჯობებს, არადა, ასე რა გამოვა".

— პავლე! პავლე! — შემოესმა.

მანქანიდან ჩამოსული გაბრიელი მიეახლოვდა.

— გაბრიელ ბრძანდებოდი? ამ შუადღეზე საით მიდიხარ?

— შინისაკენ გავიწიე. აქეთ საიდან ყოფილხარ?

— სანდროს ვენახი გაუსხლავი რჩებოდა და თვითონ გავაკეთე. მედეაც საბავშვო ბაღში გადავიყვანე.

— ეს კარგია! სანდროსი რა იცით?

— მეზე ნუ იდარდებო, ამბობს მედეა... სანდროს ოჯახს ხელს შევაშველებთ, მაგრამ ჩვენს ბრიგადაში დახმარება სხვებსაც ჭირდება და უნდა მივაშველოთ ბიჭები.

— იგი და ჩემი სწავლა არ დაგვჭირდება; ომის ხიფათიდან ვერავინ გამოიყვანა... ჩაის კრეფისთვის ხომ მოემზადეთ; ხომ არაფერი გჭირდებათ?

— თუ დაგვჭირდება, მოგმართავთ.

— აბა, თქვენ იცით, წავედი!

— მანქანების ხრიალი ომში მომბეზრდა, ფეხითაც მივალ.

— კარგი, ნახვამდის!

— ნახვამდის, გაბრიელ!

* *

ჩაის კრეფა გაჩაღდა. სოფლიდან გაკრეფილი ქალები, ზურგის ტალღებზე აკიდებული თოლლიკებით მოდიოდნენ ჩაის ბუჩქებში. ქვემოთ, სიმინდის ყანებში და ციტრუსის ბაღებში მამაკაცების ხმაური ისმოდა.

მედეა საბავშვო ბაღისა და ბაგის ბავშვებს თავს დასტრიალებდა, ხოლო ჩაის პლანტაციებში გასული ნარგიზა ორივე ხელით ჰკრეფდა ახლად ამოწვერილი ჩაის ნორჩ ყლორტებს.

იმ დღეს, ჩაის ბუჩქებში თავჩარგულ ნარგიზას, პავლე შეუმჩნევლად მიუახლოვდა:

— გამარჯობა, დამნაშავე ვარ და მაპატიე.

— აა, ბატონო პავლე, როგორ გეკადრებათ! მე აქ მირჩევნია, სკოლის მეგობრებში.

— ხომ დაიმთავრეთ?

— დავამთავრეთ, მარა, აქაც ერთად ყოფნა გვიხარია.

— ყოჩაღ, კარგი ქალიშვილი ყოფილხარ, — ნარგიზას ალაპლაპებულ თვალებს თვალი მოარიდა და მაშინვე გამობრუნდა.

„ამ ჯობიან კაცს უჯობოთვის ვერ შეედრებიან; გულით არ კობლობს" — იფიქრა ნარგიზამ და ჩაის ნორჩ ყლორტებს რაღაც ალერსიანად გადაუსვა ხელი.

* *

ერთ დღესაც პავლემ დრო იხელთა, სანდროს კარ-მიდამოს ეწვია. იცოდა, შინ არავინ იყო და იქაურობა უფრო თავისუფლად მოათვალიერა, შეამოწმა, კიდევ რისი გაკეთება შეეძლო.

ძაღლმა შეჰყეფა, მაგრამ მალე დადუმდა.

მიცანი ხომ? ცოტა ჭკუა მოგმატებია და შენ უკვე გვცნობ — უთხრა ძაღლს, მერე ვენახში შევიდა და ვაზის აკვრა დაიწყო. როცა მოათავა, ისევ ეზოში გამოვიდა: „აქ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. [illegible] შეიძლება" — იფიქრა და შინისკენ გასწია გზას.

ამის შემდეგ პავლე შინაურივით მოდიოდა, წამოშველებდა ომში წასული მეგობრის კარ-მიდამოში და იქაურობას უმოდ ტოვებდა.

საბავშვო ბაღიდან შინ დაბრუნებული მედეა ხედავდა პავლეს მადლიანი ხელის ნაკვალევს და გული წყდებოდა, რომ სტუმარი უპატივცემულოდ უქრებოდა ხელიდან.

მაგრამ აი, იმ დღეს, როცა პავლე ვენახის გაფურჩქვნას ამთავრებდა, ჭიშკარმა გაიჭრიალა და ეზოში შემოსულ მედეას ხმაც გაისმა: „მომშორდი, წარბა, მე უბედური! ახლა მნახე და გამიცანი?"

უეცრად გამოცოცხლებული ძაღლი ახლა ვენახისაკენ გაიქცა, რომ ეხიშნებინა აქ სტუმარია, მარტო არ ვარო.

მედეა მიუხვდა და ვენახისაკენ თვალშეპარვით გადაიხედა. „ჰო, შენ მართალი ხარ და ახლა დაწყნარდი" — უთხრა ძაღლს და სახლისაკენ ფეხს აუჩქარა.

„მეორე მომინსწრო და ახლა რაღა ვქნა?" — იფიქრა პავლემ, იცოდა აქედან შეუმჩნევლად გაქცევაზე უკვე ფიქრიც ზედმეტი იყო და [illegible] უმოდ განაგრძო მუშაობა.

ბინდი ეშვებოდა, როცა ვენახიდან გამოვიდა ფეხი. ცდა ბედის მოსახვევის და გაპარვა სცადა, მაგრამ უმალ მედეას ხმა მოესმა:

— მობრძანდით, ბატონო პავლე, ალბათ, ახლაც გაპარვას აპირებდით, მაგრამ ვეღარ გაგიშვებთ!

ცეცხლის ძირას შეჩერებული მედეა, რომ შენიშნა, პავლე დაიბნა, ადგილზევე გაშეშდა.

მედეა მივიდა, მიესალმა და წინ წარუძღვა:

— იმედია ადღეგრძელებთ ომში წასულ მეგობარს!

„ისეთი მითხრა, უარისად წავიდე!" — იფიქრა პავლემ და გაწეწმატებულ ქალს უკან გაჰყვა.

გაშლილ მაგიდას უხმოდ მიუსხდნენ... რაც უფრო ბნელდებოდა, მით უფრო ძალას იკრებდა, ჩნდებოდა ცეცხლის ხიდან თითქმის მაგიდამდე დაშვებული ელნათურის ხასხასა შუქი.

პავლემ პირველად ახლაც სანდრო ადღეგრძელა, მერე მისი ოჯახი.

განახუხის ამ სადღეგრძელოებზე ყველაფერი დუმდა კარმეში, ფოთოლიც არ იძროდა. სტუმარ-მასპინძელიც თითო-ოროლა სიტყვას თუ ეტყოდნენ ერთმანეთს, თითქოს იმიტომ, ბუნების დიადი მყუდროება არ დაერღვიათ და მოესმინათ მისი უთქმელი სიტყვა.

ბავშვი აჭინჭყლდა:

— მოგშივდა, ნენა? კარგი, ახლავე...

— მედეამ მკერდი გაიხსნა, ოდნავ მიბრუნდა და ბავშვს ძუძუ მისცა.

ბავშვი ხარბად დაეწაფა დედის ტკბილ ძუძუებს და ხმა ჩაიკმინდა. ახლა ბავშვის სუნთქვა და რაღაც დამტკბარი კრუსუნი ისმოდა ღამის უსასრულო მყუდროებაში.

პავლემ ელნათურით სხივგაშუქებულ, ოდნავ თმადაშლილ და თვალწარბდახრილ მედეას რომ შეხედა, თავში გაუელვა „მადონას რომ იტყვიან, ალბათ ესაა" და უმალ დედაშვილს თვალი მოსწყვიტა. — „ეს რომ მომაგონა?" იფიქრა და რა იცოდა, რომ მშვენიერებას საკუთარი თვალი, სიტყვა-პასუხი, მიმზიდველობას შეუცნობელი კანონი აქვს და არავითარ სხვა კანონს არ ემონება. წასვლა გადაწყვიტა და ღვინით სავსე ჭიქა აიღო:

— დავიგვიანე. ამით ისევ გადღეგრძელებთ დედაშვილს, სანდროს მალე დაბრუნებას გისურვებთ, — ჭიქა დასცალა და გაეცალა მაგიდას.

— ნამეტანი აჩქარდით, ბატონო პავლე. ერთი ლუკმა და ჭიქა ღვინო კაცს როგორ ეყოფა.

— ყველაფერი საკმარისია, კარგად იყავით! არა, გაცილების ნებას არ მოგცემთ, ბავშვი ცოდვაა, გმადლობთ, ნახვამდის!

მედეა მკერდზე ბავშვმიკრული ჭიშკრამდე მიჰყვა და გამოესალმა: „უცნაურია, რატომ ასე გამირბის? მეგობრისათვის თავდადებული ვაჟკაცი ყოფილა", — იფიქრა, მიუბრუნდა მაგიდას და ბავშვს მიუჯდა.

— მოგწონს, ნენა, გული მიმწყდა. შეგაშინე? მამა დაგიბრუნდება და გაგახარებს.

ბნელი ღამე იყო. ისეთი გაუვალი ხიზნები იდგა, ადამიანს გულს გაუქვავებდა, მაგრამ თავის პატარა ბიჭუნასთან გართობილსა და პავლეს ყურადღებით გულმოცემულ მედეას შიში აღარ ახსოვდა.

* * *

პავლე ჯოხის ნერვიული რაკარუკით მიაბიჯებდა, ბუტბუტებდა:

„ასე როდი იქნება. აწი ვეღარ დამიჭერს, ვერა, ვერ დამიჭერს. თვალი ზოგჯერ კაცის მტერია, იტყვიან და, ალბათ, ასეა".

შინ გვიან მივიდა. როცა წვებოდა, მეორე ოთახიდან დედის ხმა მოესმა:

— იავხშმე, ნენა!

— ვივახშმე. მშვენიერი ღვინოც დავლიე.

დილით, როცა ოდნავ ინათა, დედამ ჩაძინებულს მიუსწრო, სასთუმალთან მიუჯდა.

პავლე მშვიდად სუნთქავდა.

დედა განაბული უმზერდა. შვილის ფერი ოდნავ გაკრთებოდა და ეს ალერსებდა, უალერსა გულს: „ღამით ვერ იყვავებდა, მარგაედა. ყველაფერს თავისი დრო აქვს... თუ დაიჯერებ..." — ფიქრი გაუწყდა და შვილის ხმაც მოესმა:

— აქა ხარ, ნენა? დავიგვიანე?

— არა, ნენა. ადრეა. მოისვენე. სათქმელი მქონდა.

— სათქმელი?

— ჰო, ახალგაზრდა კაცი ხარ. მეგობარი გჭირდება. ახლა დროცაა. მერე შინ უფრო გაიმება კარი და მიგიხედავს. დამიჯერე, ნუღარ გადადებ.

პავლემ თვალი მოარიდა და ფიქრს მიეცა.

— შენ მართალი ხარ, ვცდები ნენა, — უთხრა ხანდაყოვნებით.

— ჰო, ნენა, ჰო, ჭკვიანი ვაჟკაცი ხარ, ყველაფერს მიხვდები.

დედა ფეხაკრეფით გავიდა.

პავლემ ჩაიცვა, ადგა. „დედამ სწორედ თავის დროს მირჩია. დაყოვნება არ მეპატიება. ჰო, ეს მართალია" — გადაწყვიტა და რაღაც თავისთავად ნარგიზას მოციმციმე თვალებმა გაიელვეს მის თვალწინ. „რაო? მერე განა თვითონ ინდომებს? საეჭვოა. არა მგონია" — იფიქრა და იქვე სკამზე მიყუდებულ ჯოხს მისწვდა.

III

რ ო ც ა დრო იხელთებდა, პავლე ისევ შინაურივით შედიოდა სანდროს კარ-მიდამოში და ძაღლიც შინაურივით ეგებებოდა, გარბი-გამორბოდა, ხარობდა სიმარტოვით დაღონებული. იცოდა, პავლე რისთვის იყო მოსული და სტუმარ-მასპინძლის რომ გულს იჯერებდა, ბაღისკენ წაუძღვებოდა.

იმ დღეს პავლემ ვენახის შეწამვლაზე და ბაღის გათოხნაზე ამხანაგებიც მოიწვია, ლობეც შეაკეთეს და როცა წავიდნენ, შორიდან ქალის ძახილი მოისმა:

— პავლე, პავლე, ბატონო პავლე!

პავლე მიხვდა, ვინც იყო და წაუყვირა, ფეხს აუჩქარა.

— პავლე, გეძახიან! — უთხრა ამხანაგმა.

— არა, დრო არა მაქვს და უნდა ვიჩქარო, მელოდებიან, — და მოსახვევში გაუჩინარდა. „კარგამ არ მომიწყრა?" — გაიფიქრა და გზა მშვიდად განაგრძო.

* * *

იმ დღეს, საღამოს, პავლე უკვე პირველ კოლმეურნეთა [illegible] შეხვედრას დაესწრო. მერე მან მეზობლებთან ერთად წავიდა. ფერმის [illegible] მეზობლების შეკითხვებზე თითო-ოროლა სიტყვით თუ უპასუხებდა.

— პავლე, უკრაინაში შენც ხომ იბრძოდი?

— ვიბრძოდი.

— მერე დასავლეთისკენ გაიწიეთ?

— [illegible]

— მერე, ჰოსპიტალი, არა?

— იქიდან ჯოხით.

— სული ხომ შეგრჩა და ღმერთს უმადლე.

— შეგრჩა, მარა... — აღარ დაასრულა.

უკან მომავალი ქალიშვილების ჟრიამული მოისმა.

პავლე შეჩერდა, პაპიროსი გააწყო, გააბოლა.

— ბატონო პავლე, მარტო დაგვტოვებ? — მოესმა მიახლოვებული ნარგიზას ხმა.

— გამარჯობათ, ქალიშვილებო!

— იცოცხლეთ, ბატონო პავლე!

— თუ ასეა, ჩვენ გვაცილეთ!

— უფრო გავართობთ! — ამხედრდნენ ქალიშვილები.

— გართობა კი მჭირდება. უკრაინელმა მეგობრებმა ომი მომაგონეს და დამაღონეს. დაღლილი ცხოვრებამ.

— პირიქით, ბატონო; დილაობით ყველაზე ადრე, სოფლის გზებზე თქვენი ხმა ისმის; მერე ყანებში და პლანტაციებშიც!

— უთხრა ნარგიზამ.

— მეგრიალა ყოფილხარ!

— მეგრიალა? — იკითხა ერთ-ერთმა და სიცილი მორთეს.

— ყვირილითაც საქმეს აკეთებთ, — უთხრა ისევ ნარგიზამ და მორცხვად თავი დახარა.

გზაჯვარზე ქალიშვილები ჩამოეცალნენ, მიმოიფანტნენ სოფლის შარაშუკებში. პავლესთან მხოლოდ ნარგიზა და მისი მეგობარი გოგონა დარჩნენ.

პავლე შინ, ჭიშკართან მიაცილებს და წუთით რაღაც უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

— ნეტავი შინ მობრძანდეთ და გაახაროთ სიმარტოვით დაღონებული, მარტოხელა დედაჩემი. — პავლემ დაარღვია სიჩუმე.

— შინ? არა, გვიანაა. მერე სიხარულით შევივლით, — უთხრა ნარგიზამ და, პავლეს კი არა, გვერდით მდგარ გოგონას შეხედა, — აგერ, ციცინოც წამომყვება და...

ციცინომ რაღაც იგრძნო, გვერდით გაიწია, გაშორდა და შორიახლო შეჩერდა.

— წეღან რომ თქვით, მარტო დარჩენილხარო, დედას ჩემი სიმარტოვე მართლაც აწუხებს.

— მერე რა, განა დედის გახარება არ შეგიძლიათ?

— ძნელია, ჯოხი რომ გადამიყენე, მაშინ, სხვა იყო, მარა...

— თუ კაცს თავი აქვს, ჯოხი ვერ შეუშლის...

— გულით არ ამბობ.

— გეფიცებით!

ამგვარ პასუხს პავლე არ ელოდა. ნარგიზას უფრო დაბეჯითებით ჩაეჭიდა ხელში, ჩაიხედა და ყრუმანით ხმა ამოიღო:

— თუ ასეა... ჰო, შემდეგ შევხვდეთ და ვისაუბროთ.

— კარგი, ნახვამდის!

— ნახვამდის ნარგიზა!

„საოცარია. კარგი ქალია. თუ ეს მოხდა, სანდროს კარ-მიდამოს პატრონობა არ გამიჭირდება. კაცის ხელს სხვა ოჯახებსაც აღარ მოვაკლებთ", — იფიქრა.

პავლეს რომ დაშორდა, უჩვეულოდ გამოცოცხლებული ნარგიზა მიეჭრა ციცინოს, მკლავში ხელი ჩაავლო და მიაძახა:

— წავიდეთ, ციცინო!

— რა მოხდა ასეთი?

ნარგიზამ აღარ უპასუხა და თავდავიწყებული გაიქცა წინ. თავისთავს ეკითხებოდა:

„დავიჯერო? ეს დავიჯერო?"

* *

მალე დაქორწინდნენ ისინი. პავლეს დედა პატარძალს გულში იკრავდა, ჰკოცნიდა, მის სიხარულს ბოლო არ ჰქონდა.

ნარგიზა ჯარისკაცით ტრიალებდა ოჯახში და დედამთილსაც ხელს არ აკლებდა.

ამას რომ ხედავდა, პავლეც კმაყოფილებით ილიმებოდა, გრძნობდა, ახალგაზრდა ქალის ოჯახში შემოსვლამ როგორ გამოაცოცხლა ყველაფერი და უხრამი სავსებით სული ჩაუდგა.

ამიერიდან ნარგიზაც მედეას ხშირი სტუმარი იყო; დროს შოულობდა და საკუთარი ჩაის კრეფასაც ხელს წაიშველებდა, ამხნევებდა, ზოგჯერ აცინებდა კიდევაც.

პავლე თითქოს ახლაც ერიდებოდა, თითქოს გაურბოდა მედეას.

ამგვარ მდგომარეობას მედეაც შეეჩვია და შეურიგდა. მხოლოდ ერთხელ, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შესჩივლა:

(დასასრული მე-4 გვ.)

აკაკი ქუთაისის გიმნაზიაში

1908 წლის მაისში აკაკი წერეთელი ქუთაისში ჩამოვიდა და სტუმრად გაჩერდა ექიმ ვასილ წერეთელთან.

პოეტმა გადაწყვიტა ეწვეოდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიას, რომელშიც ბავშვობისას თვითონაც სწავლობდა. ეს ამბავი წინასწარ გაიგეს გიმნაზიაში. შეხვედრისათვის მასწავლებლებიც ემზადებოდნენ და ჩვენც — გიმნაზიელებიც. მოსწავლეებმა დილიდან მოამზადეს თეთრი და წითელი ვარდების თაიგულები.

ის იყო მეხუთე გაკვეთილი დამთავრდა, რომ გიმნაზიას ეტლით მოადგა ჩვენი საყვარელი პოეტი. ქართული ენის გაკვეთილი მაშინ ყოველთვის მეექვსე გაკვეთილად ტარდებოდა, რადგან იგი სავალდებულო საგნად არ ითვლებოდა. სწორედ ამ გაკვეთილზე დასწრება სურდა აკაკის.

აკაკი მცირე ხანს მასწავლებლებს ესაუბრა და შემდეგ კი IV კლასში ქართული ენის გაკვეთილზე დასასწრებლად შევიდა. ქართულ ენას პარმენ თვალჭრელიძე ასწავლიდა, რომელიც მწერლობაში ცახელის ფსევდონიმით იყო ცნობილი.

დაიწყო გაკვეთილი. მოსწავლეები თვალებგაბრწყინებულნი შესცქეროდნენ საყვარელ სტუმარს. მათ გაკვეთილად აკაკის ბიოგრაფია ჰქონდათ მიცემული. ყველა მოსწავლემ შესანიშნავად იცოდა გაკვეთილი. შემდეგ ცახელმა ბავშვებს აკაკის ლექსები ათქმევინა. აკაკი ღიმილით შესცქეროდა პატარებს.

გაკვეთილის დამთავრებამდე ათიოდე წუთი იქნებოდა დარჩენილი, აკაკი წამოდგა და მოსწავლეებს უთხრა: ბავშვებო! მე თქვენგან ძალიან კმაყოფილი და ნასიამოვნები ვარ, იმის გამო, რომ ასე კარგად გისწავლიათ ჩემი ლექსები და კარგად გესმით მათი აზრი. მაგრამ ეს არა კმარა. როგორც ჩემი ლექსები გისწავლიათ, ისევე კარგად უნდა ისწავლოთ ყველა ქართველი მწერლის ლექსები და მოთხრობები. არ დაგავიწყდეთ აგრეთვე, რომ თქვენ კარგად უნდა ისწავლოთ რუსი მწერლების — პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ნეკრასოვის, ტურგენევის, ტოლსტოის ნაწარმოებები. ბევრი დიდებული მწერალი ჰყავს რუს ხალხს.

მოსწავლეები ღიმილით და აღტაცებით შესცქეროდნენ მგოსანს და მის თვითეულ სიტყვას გულში ინერგავდნენ.

გაკვეთილის დამთავრების ზარი გაისმა.

აკაკიმ ხელი ჩამოართვა მასწავლებელს, გამოემშვიდობა მოსწავლეებს და ხალხით ოთახის კარისაკენ გაემართა. ორმა მოსწავლემ თაიგულები მიართვა პოეტს. აკაკიმ მათ შუბლზე აკოცა და ცრემლები მოერია. შემდეგ აკაკი გიმნაზიის მასწავლებლებს გამოემშვიდობა და ეტლში ჩაჯდა. მეეტლემ მათრახი გადაჰკრა ცხენებს. ეტლი დაიძრა. გულაჩქროლებულები გავცქეროდით მიმავალ ეტლს, ვიდრე იგი თვალს არ მიეფარა.

ვლასი ბაღრინდაშვილი

ოცნება.

ფოტო ლ. კოჩლაძისა.

მეგობრის გული

(დასასრული)

— ბატონო გაბრიელ, რა ქენი არ ვიცი, პავლე მიდის, ჩვენს კარ-მიდამოში ყველაფერს ალაგებს და მერე ისე გაუჩინარდება, თვალითაც ვერ ვხედავ; გამასპინძლებას ვერ მოვასწრია. ახლა ახალგაზრდა მეველეც ჩაის კრეფაშიც ჩამომაშველა და ზოგჯერ ისეთს მეტყვის, მკვდარს გამაცოცხლებს.

გაბრიელმა ხშირი ულვაშები სიამაყის გრძნობით გადაიგრიხა.

— აბა, როგორ გგონია: პავლე სანდროს ოჯახს დაივიწყებდა? არა თუ ახლობელს, შორეულ მეგობრებსაც კი ვერ ვივიწყებთ. ნუ გეშინია, თუ ჩვენმა კოლექტივმა ფრონტს სატანკო კოლონა შეუძინა, უკაცოდ დარჩენილი ოჯახების პატრონობა გაგვიძნელდება?.. სანდროსი რა იცის, რას იწერება; ჭრილობა ხომ მოურჩა?

— ჰოსპიტლიდან რომ გამოეწერა, მერე არაფერი ვიცი, ბატონო.

— ნუ გეშინია; დაგიბრუნდება. მშვიდად იყავი.

— იცოცხლე, ბატონო! — და მედეა შინ იმედმოცემული წავიდა.

* * *

ომი დამთავრდა. ქედმოხრილმა მტერმა იარაღი დაყარა. მეომარი მებრძოლი დაუბრუნდა თავის თბილ კერას. თავისიანის შინ დაბრუნებას ყველა მღელვარებით ელოდა. მოლოდინი ახლა უფრო მძიმე იყო, ვიდრე თვით ომის დროს.

ეზოში, უკვე ფეხადგმული ბავშვით გამოსული მედეა, შორს, გზას გაჰყურებდა. ყველა აქეთკენ მომავალი მამაკაცი სანდრო ეგონა და ხშირად ჭიშკართან გულამოვარდნილი მიიჭრებოდა. მაგრამ არა, სანდრო არ ჩანდა.

ახალმა გაზაფხულმა მთაგორაკებზე თითქოს პეშვით მოაფრქვია სიცოცხლის თესლი და მიწა წითელ-ყვითელი ფერებით შეხამებული მწვანით შემოსა. ხეები მონაცისფრო ნისლს ამოეფარა და ამწვანებული გორაკები ზღვის ტალღებში მეწყრებულ თოლიებივით მოჩანდნენ აქა-იქ.

მედეა ხმაჩავარდნილი და უფრო დასევდიანებული ელოდა სანდროს. ამ სახედისწერო მოლოდინის დღეებში პავლეც არ ჩანდა. „კვირაობით მანუგეშებს და ალბათ მემალება" — ფიქრობდა ქალი.

* * *

კვირა დღე იყო. სოფლისაბჭოს მოედანზე შეკრებილ ხალხში ჩამდგარი გაბრიელი აქეთ-იქით იქნევდა ხელს და როგორც არასდროს ჩიხიანად გაიძახოდა:

— გვედირისა! ფრონტელები გვიბრუნდებიან! გაუმარჯოთ, ამხანაგებო!

იქვე, ჯოხს დაყრდნობილ პავლეს თავი დაეხარა და ხმას არ იღებდა. ბოლოდროს აკვიატებული სევდა დღითი-დღე უძლიერდებოდა; სანდრო არ ჩანდა. ახლაც, როცა გაბრიელის იმედიან სიტყვებს უსმენდა, ისევ სანდრო ედგა მას თვალწინ.

კრება დასრულდა. ხალხი იშლებოდა, რომ გზაზე ავტობუსის გუგუნი მოისმა. მოახლოვდა. შეჩერდა.

პავლე დაჟინებით ათვალიერებდა ჩამოსულთ, მაგრამ ვისაც ეძებდა, ის არა ჩანდა. ძახილი შემოესმა და უცნაურად შეკრთა, თვალები გაუფართოვდა, ჯოხი ძირს დააგდო და ხელგაშლილი წინ წაიწია.

— პავლე, პავლე! — გაიძახოდა ძახილი.

პავლემ თითქოს ხმა იცნო, მაგრამ მისკენ წამოსულს ვეღარა ცნობდა.

— ვეღარ მიცანი? სანდრო ვარ, პავლე!

— სანდრო! სანდრო! — დაიძახა პავლემაც და ხელმოსულ სანდროს მიეჭრა.

ძველი მეგობრები ეხვეოდნენ, კოცნიდნენ ერთმანეთს.

გაბრიელიც იქვე იყო და სანდროს ხელი მოხვია.

—ბარაქალა! ნატყვიარ და ნაცეცხლურ სახით არწივს დამსგავსებიხარ! პოდა, ახლა შენს ქვეყანაში ფრთაგაშლილმა გაინავარდე!

სანდროს თვალები უციმციმებდა, სიტყვას ვეღარ ამბობდა.

— პავლე, წავიდეთ, სანდრო ჩავაბაროთ თავის წრფელ ცოლ-შვილს, — უთხრა გაბრიელმა.

პავლე შეყოყმანდა:

— თქვენ მიაცილეთ, მე სხვა დროს მოვალ.

— შენ მთავარი ხარ და ფეხს რაღად ითრევ?

— წავიდეთ, პავლე! — თხოვა სანდრომაც.

პავლემ მიწაზე დაგდებული ჯოხი აიღო, სანდროს მკლავში ხელი ჩაავლო და წინწასულ გაბრიელს გაჰყვნენ.

სანდროს კარ-მიდამოს რომ მიუახლოვდნენ, ჭიშკართან, ბავშვით ხელში, უძრავად მდგარი მედეა დაინახეს და გაბრიელმა იყვირა.

— აი, სანდრო, შენი ცოლ-შვილი!

მანქანა შედგა. ჩამოვიდნენ.

მედეა გაფითრდა. ტყვიით სახედაცრილულ სანდროს ვერ იცნო, მაგრამ როცა სანდრო წინ გამოემართა და მისი ხმაც შემოესმა, მედეა გაწითლდა, ბავშვი გულში ჩაიკრა და ცრემლები წასკდა.

— მედეა! ვიცი ვეღარ მცნობ, მაინც სანდრო ვარ და თუ მიმიღებ მოვედი! —მიაძახა სანდრომ, ჭიშკარში შევიდა, ცოლი და შვილი გულში ერთად ჩაიკრა.

— სანდრო, სანდრო, — მხოლოდ ჩურჩულებდა მედეა.

— როგორც წავედით, ისე მოვიყვანეთ. აი და, მე და პავლეც მადლიერნი ვართ! — უთხრა გაბრიელმა, მაგრამ მედეას არაფერი ესმოდა. შვილი და ცოლქმარი, ერთ არსებად გარდაქმნილები თითქოს სხვა ქვეყანაში გადასულიყვნენ.

პავლე უხმოდ იდგა, ილიმებოდა, ცრემლი უღლიდა, გული მოძალებით უძგერდა.

— კარგი, მედეა. შევიდეთ შინ. სტუმრები გვყავს.

— სტუმრები? —გაიკვირვა მედეამ, — არა, მასპინძლებია. ჩვენებია; მიმოიხედე შენს კარ-მიდამოში და დარწმუნდები, — არაფერი გვაკლია.

— ვიცი, მერე, მედეა. მობრძანდით! — მიუწვია სანდრომ და სტუმრები მიჰყვნენ.

სანდრომ მძიმედ შედგა ფეხი აივნის კიბეზე, ავიდა, აივნის ლატანიც დაჭრილია.

— რა სიწყნარეა, —მხოლოდ ეს თქვა, ბავშვი აიყვანა და მკერდივით მხარზე დაისვა.

— ახლა ჩაიბარე შენი მაღაზია, — უთხრა მედეამ და საამბარეულოსაკენ ფეხს აუჩქარა.

ნახევარი საათიც არ გასულიყო, რომ გაშლილ სუფრას მიუსხდნენ.

თამადად გაბრიელი აირჩიეს და მანაც დაიწყო. ჭიქაში ჩასხმული, ქარვასავით ღვინო ნაპერწკლებს ჰყრიდა.

გახარებული სანდრო იძახდა:

— განა ეს ჩვენი ღვინოა? მაშ ყველაფერი გადარჩენილა: მედეა მწერდა, თავმჯდომარის ყურადღება და პავლეს ხელი არ გვაკლიაო, მარა ასე თუ იქნებოდა, ვინ დაიჯერებდა?

— არა, აქ პავლეა მთავარი! —დაიძახა გაბრიელმა.

„აი დაიწყო და უკარე კაკალი" —უსიამოვნოდ გაიფიქრა პავლემ და მზერა აირიდა.

— ჰო, იმას ვამბობდი, —განაგრძობდა გაბრიელი, — მე რომ ასეთი მეგობარი მყოლოდა, სიმღერ-სიმღერით შევაცლებდი ჯოჯოხეთის კარს, რადგან მეცოდინებოდა, ცეცხლიც ვერ დამწვავდა... ყველაფერი პავლეს მეჩრდილობით გაკეთდა.. მერე ცოლი შეირთო და ისიც მედეასა და მის მსგავსებს წამოეშველა... მედეა მხოლოდ იმაზე ჩიოდა, როცა შინ არა ვარ, პავლე მოდის, საქმეს აკეთებს და ისე მიდის, გამასპინძლებასაც ვერ მოვასწრებო.

„რაო? ეს მედეას უთქვამს? — მიხვნა გოდორის თავი და აია.. აჰ, ჩემი გაჩერება ძნელია", — იფიქრა პავლემ და ადგომა სცადა, მაგრამ გაბრიელი მიუხვდა, მხარში ხელი ჩაავლო და შეაჩერა.

— მოიცა, მოიცა! ჯერ კიდევ სადა ხარ! მედეა რომ საბავშვო ბაღში მოაწყო, იქ მოჩუმდევ ნარგიზა ჩაიში გაამდო და მერე ცოლად შეირთო.

სანდრო გულიანად იცინოდა.

გაბრიელს მედეაც უდასტურებდა, იძახდა:

— მართალია, სწორია!

„აი კი ნამეტანია და უნდა წავიდე" — გადაწყვიტა პავლემ და წამოდგა.

— მაპატიეთ, გაბრიელმა ცოლი მოიგონა. მელოდება. უჩემოდ ლუკმას არ იღებს და ცოდვაა ფეხმძიმე ქალი.. ისე კი, ახლა ერთად ვართ და მოვესწრებით ყველაფერს.

— არ დაუჯეროთ; მადლობას მეტყვიან და ამის ეშინია, —დაიძახა გაბრიელმა.

—არა, მადლობა და შიში არაფერ შუაშია. მე მართალს ვამბობ.

— პავლე, იქნებ დარჩე, ჩვენ ხომ ძმები ვართ! ამიტომ მადლობასაც არ გეუბნები, —უთხრა სანდრომ.

— მართალია, ძმები ვართ და მეც დამიჯერებ; კარგად იყავით!

— პავლე, რადგან არ იშლი, მანქანაში ჩაჯექი, მე ფეხით წავალ! — გასძახა გაბრიელმა.

— გმადლობთ; ფეხით გავისეირნებ.

სანდრომ გააცილა და რომ მობრუნდა, დაჭმუხნული ფიქრი დასძახა:

— აი როგორია მეგობრის გული!

გზაზე გასულმა პავლემ თავისუფლად ამოისუნთქა.

„მეგონი გადავრჩი" —გაიფიქრა და მინდვრისკენ უფრო გამართული ნაბიჯით წავიდა.

გზაზე ფეხის ხმას რომ გაიგონებდა, გამოფხიზლდებოდა, მგზავრს თვალს შეავლებდა, ყველას ერთ სიტყვას შეაგებებდა: „გამარჯობა, გამარჯობა, გამარჯობა!" — თითქოს თავისთავსაც ჩასძახოდა ამ სიტყვას. მეგობარი შინ მშვიდობით რომ დაუბრუნდა და მის წინაშე ვალმოხდილი აღმოჩნდა, განუცდელ მღელვარებასა და შვებას გრძნობდა. მაღლობზე რომ ავიდა, ჯერ მთას, მერე ზღვას თვალი გადაავლო; ასე მშვიდი, პირიმზისფერი, დამშვენებული, არც მთა, არც ზღვა ჯერ არ ენახა. კარგა ხანს იდგა. მერე ისევ მშვიდად განაგრძო გზა. ამ გაზაფხულზე ყვავილებს ჩიტების გულმოდგინე გალობა მოიცულებდა.

ნიკო გომიაშვილი

ქართული თეატრის ოჯახს კიდევ ერთი ღირსეული შემოქმედი გამოაკლდა — ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ნიჭიერი რეჟისორი და მსახიობი ნიკო გომიაშვილი, რომელიც 45 წლის მანძილზე დაუღალავად ილვწოდა ქართული თეატრალური ხელოვნების აღმავლობისათვის.

ნიკო გომიაშვილის სცენური ავანი პირველად 1917 წელს, ბათუმში დაიწყო. ახალგაზრდა ნიკომ თავი ისახელა საქმის ერთგულებით, იგი გულმოდგინედ შეუდგა სცენური ხელოვნების შესწავლას და მრავალი ღირსშესანიშნავი სახე შექმნა როგორც თბილისის სახალხო სახლში, რომელსაც ალ. წუწუნავა ხელმძღვანელობდა, ისე ქუთაისის და სოხუმის თეატრებში. საკმარისია გავიხსენოთ მისი ცარლოსი („ყაჩაღები"), ვანო („მსხვერპლი"), ნეზნამოვი („უდანაშაულო დამნაშავენი") და სხვ.

ახალგაზრდა მსახიობი ოცნებობდა ცოდნის მისაღებად მოსკოვში წასვლაზე, რის საშუალებაც იმხანად მას არ გააჩნდა. ნიკოს ამ ოცნებას ფრთები მხოლოდ მაშინ შეესხა, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

1922 წელს, საქართველოს განათლების კომისარიატის გადაწყვეტილებით, მოსკოვში დაარსდა ქართული სტუდია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი რეჟისორი და პედაგოგი ვახტანგ მჭედლიშვილი. სცენური ხელოვნების შესწავლას მოწყურებულ ახალგაზრდებს ბედმა გაუღიმა. სხვა ნიჭიერ ჭაბუკებთან ერთად ნ. გომიაშვილსაც მიეცა საშუალება ცოდნის მისაღებად მოსკოვში წასულიყო. მჭედლიშვილის ნაადრევად დაკარგვის შემდეგ სტუდიას ხელმძღვანელობდა ჩვენი სახალხო მწერალი და მოღვაწე შალვა დადიანი.

ნიკო გომიაშვილმა წარმატებით დაამთავრა სტუდია და ცოდნით აღჭურვილი დაბრუნდა საქართველოში. იგი ახალგაზრდული გატაცებით ჩაება თეატრალურ ცხოვრებაში. ყველგან, სადაც კი ნიკოს უხდებოდა მუშაობა, მის ნიჭიერ შემოქმედებას სიყვარულით მოხვდნენ, როგორც ამხანაგები, ისე მაყურებლები.

ნიკო გომიაშვილის მოღვაწეობის მნიშვნელოვან პერიოდად უნდა ჩაითვალოს კოტე მარჯანიშვილთან თანამშრომლობის პერიოდი. კოტეს ხელმძღვანელობით, სხვა სპექტაკლებთან ერთად, ნიკოს მუშაობა მოუხდა „ოტელოს" დადგმაზე. მან კოტეს გარდაცვალების შემდეგ იმავე „ოტელოს" აღდგენაზე დამოუკიდებლადაც მოუხდა მუშაობა. ნ. გომიაშვილის ცხოვრებაში აღსანიშნავია აგრეთვე სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით პლეხანოვის კლუბთან არსებულ ფილიალში რამდენიმე პიესის დადგმა.

ნიკოს შემოქმედებისა და მოღვაწეობის ღირსშესანიშნავი ეპიზოდია ვალერიან გუნიას სახელობის ფოთის თეატრში მუდმივი დასის ჩამოყალიბება და მისი ლამაზი შენობის მშენებლობის ხელმძღვანელობა. მართალია, ფოთში მანამდეც კარგი და სახარგებლო მუშაობა წარმოებდა. მაგრამ ეს მუშაობა სეზონური, შემთხვევითი იყო და [illegible] ბის საშუალებით ახალგაზრდა მსახიობები დღითიდღე იზრდებოდნენ. კოლექტივში ინერგებოდა ერთსულოვნება, საქმის სიყვარული, ურთიერთპატივისცემა. ყველა იქ დადგმულ პიესას რეალიზმის მიმდევარი რეჟისორის ხელწერა ემჩნეოდა.

ნიკო გომიაშვილმა თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობის მანძილზე ქართულ სცენას აღუზარდა მრავალი ნიჭიერი მსახიობი, რომლებიც დღესაც წარმატებით მუშაობენ სხვადასხვა თეატრებში. თეატრისადმი ნიკოს უსაზღვრო სიყვარული, სცენური ხელოვნებისადმი მისი ერთგულება მაგალითს აძლევდა და აღაფრთოვანებდა სცენის ახალგაზრდა მოღვაწეებს. მუდამ მაღალმხატვრული, მკაფიო და ნათელი იყო მისი რეჟისორული ხელწერა. ახლის ძიება ნიკოს შემოქმედებითი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი იყო. მის მართალ გულს ყოველთვის ახარებდა სცენურ ხელოვნებაში შემოტანილი ყოველი სიახლე, რომელიც სოციალისტური რეალიზმის გზას უფრო მეტად ამრავალფეროვნებდა და ხალხურს ხდიდა. როგორც ცხოვრებაში, ისე სცენაზე, იგი მუდმივად იბრძოდა მართალი და ვაჟკაცური შემართების ხელოვნებისათვის.

ნ. გომიაშვილი საზოგადოებრივ საქმიანობაში ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა და მისი მოღვაწეობაც, მისი უშუალო და მართალი შემოქმედება [illegible] იყო.

ნიკოს მეგობრები და თანამოღვაწენი შვილთაშვილებს გადასცემენ ამ ძვირფასი ადამიანის სპეტაკი შრომის, თავმდაბლობის, გულისხმიერების ამბავს, რათა მომავალმა თაობამ სათუთად შეინახოს მისი ნათელი ხსოვნა, შეიწყნაროს და დააფასოს მისი ღვაწლი.

პავლე ფრანგიშვილი.
გაიოზ იაკაშვილი

ოქტომბრული რეპლიკა

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ რაიონის თეატრებს ხშირად უფრო რთულ პირობებში უხდებათ მუშაობა ვიდრე თბილისისას. აღსანიშნავია ისიც, რომ რესპუბლიკურ პრესაში იშვიათად იბეჭდება პროფესიული წერილები მათი შემოქმედების შესახებ. თვითეული თეატრი სეზონში შვიდ ახალ სპექტაკლს მაინც სდგამს, მაგრამ ზოგჯერ ისე გავლის მთელი წელიწადი, რომ ერთიც ვერ ეღირსება რესპუბლიკურ პრესაში განხილვას. ეს ჩვენი თეატრმცოდნეობის დიდი ნაკლია.

ეს ხარვეზი ერთგვარად ივსება საქალაქო და რაიონული გაზეთების ფურცლებზე. გაზეთები სიყვარულით და პატივისცემით ეხმაურებიან ადგილობრივ თუ საგასტროლო სპექტაკლებს, ფართო პროპაგანდას უწევენ მათ. ამ სულისკვეთებით არის დაწერილი ლ. ბიწაძის წერილიც „ჭარისკაცის ქვრივი", (იხ. გაზ. „ჭიათურის მაღაროელი" 14.7.1965 წელი). წერილში განხილულია [illegible] თეატრის სპექტაკლი. მაყურებელი გულწრფელად გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებას.

ასე რომ, თითქოს სადაოც არაფერია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სამწუხაროდ, წერილში რამდენიმე არასწორი დებულებაა. რეცენზენტის აზრით, „ჭარისკაცის ქვრივი" არ არის რთული ნაწარმოები და ამ მხრივ დიდ მუშაობას არ მოითხოვს თეატრის კოლექტივისაგან".

უცნაური აზრია. რატომ არის „ჭარისკაცის ქვრივი" მარტივი ნაწარმოები? რატომ არის იგი სცენაზე ადვილად დასადგმელი? სხვა რომ არა იყოს რა, ინსცენირება ხომ ახალ სიძნელეებს ქმნის თეატრის წინაშე?..

რ. ჯაფარიძის „ჭარისკაცის ქვრივი" ქართული საბჭოთა ლიტერატურის მნიშვნელოვანი მოვლენაა. მწერალმა ღრმა ფსიქოლოგიური სიმართლით, დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გვიჩვენა ქართველი გლეხკაცის ცხოვრება, მისი ბრძოლა და შრომა. ეს არის რთული დრამატული კონფლიქტის, მძაფრი სიტუაციების, მკაფიო ხასიათების ნაწარმოები. ქართულ თეატრს დიდი ხანი ელოდებოდა ეს რომანი, მაგრამ მისი სცენური ხორცშესხმა ასე იოლად ვერავინ გაბედა. ეს გასაგებიც არის. რვაას გვერდიანი ნაწარმოების ხასიათების, ტიპების, კონფლიქტების 70 გვერდზე მოქცევა მართლაც დიდი რთული „ოპერაციაა", რომანის ინსცენირებაზე დიდხანს იმუშავა გ. კოსტავამ. სირთულე ერთგვარი წარმატებით იქნა დაძლეული.

რაღაც გაუგებრობაა თქმა იმისა, რომ „ჭარისკაცის ქვრივი" მარტივი ნაწარმოებია. კიდევ უფრო უცნაურია განცხადება, თითქოს პიესის დადგმა თეატრისაგან „დიდ მუშაობას არ მოითხოვს". თეატრის ცხოვრებაში ჩახედული კაცისათვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ დიდი შრომა, რაოდენ რთული მხატვრული და ტექნიკური საკითხების მოგვარებაა საჭირო, რომ სპექტაკლი შეიქმნას. შემოქმედებაში კარგი ადვილად, სულიერი და ფიზიკური ენერგიის დაუზოგველად, ხელდახელოდ არ იქმნება და არც ჩვენი თეატრი უნდა იყოს ამ მხრივ გამონაკლისი. სპექტაკლის დამდგმელმა ჭკუამ კარგად იცოდა ნაწარმოების სირთულე და ამიტომ იმუშავა მასზე ასე სიყვარულით, გატაცებით..

ლ. ბიწაძე წერს: „ბუნებით წყნარი, შრომისმოყვარე, მაგრამ ზოგჯერ თუ საქმისათვის საჭიროა (?) ფიცხი იმერელი გლეხკაცები წარმოსახეს სცენაზე" მსახიობებმა. რა თქმა უნდა, ამა თუ იმ კუთხის კოლორიტი, ინტონაცია თუ სხვა დეტალი შეიძლება მწერალმა გამოიყენოს, როგორც მხატვრული ფერი, საშუალება, მაგრამ მცდარია, თუ მის ლოკალში მოექცა ხასიათი. რ. ჯაფარიძემ „იმერელი" კი არა, ქართველი გლეხკაცის სახეები შექმნა და თეატრმაც ასეთად გამოხატა იგი. გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ქართულ თეატრში იყო და ზოგჯერ ახლაც შეინიშნება ერთგვარი პარტიკულარიზმი სახეების გამოხატვაში. კუთხური კოლორიტების ხაზგასმულ გამოხატვას, ეთნოგრაფიული ელემენტების თვითმიზნურ სიჭარბეს არაფერი აქვს საერთო ქართული რეალისტური სასცენო ხელოვნების დიდ პრინციპებთან.!

„ჭიათურის მაღაროელი" [illegible] თეატრის სპექტაკლის მხარდამხარე გამოსვლა, თეატრალური საკითხებით მისი დაინტერესება უსათუოდ მხარდასაჭერია, მაგრამ მეტი მომთხოვნელობაა საჭირო.

ვასილ კიკნაძე

ახალი წიგნები

„საბჭოთა საქართველო"

მათ ახსოვდეს სამშობლო (საბჭოთა კავშირის გმირები საქართველოდან). საერთო რედაქცია ნ. ბერძენიშვილისა. საზოგადოებრივი რედაქტორი — გ. ბრეგაძე, მხატვარი — ვ. გიორგობიანი. გვ. 514, ფასი 1 მან. 72 კაპ.

„ლიტერატურა და ხელოვნება"

დანიელ დეფო — მოლ ფლენდერსი. თარგმანი მიხეილ მამულაშვილისა. რედაქტორი — ი. შალამბერიძე, მხატვარი — ირ. ჯანაშვილი. გვ. 372, ფასი 91 კაპ.

„ნაკადული"

გიორგი კაჭახიძე — ჩვენთვის გალობს ყველა ჩიტი. რედაქტორი — რ. ინანიშვილი, მხატვარი — შ. ცხადაძე. ფასი 16 კაპ.

მუხრან მაჭავარიანი — გზადაგზა. რედაქტორი — მ. ახვლედიანი, მხატვარი — ც. ამაშუკელი. გვ. 42, ფასი 7 კაპ.

მურმან ლებანიძე — წერილები ჩემი კოშკებიდან. რედაქტორი — რ. ინანიშვილი, მხატვარი — გ. ონიანი. გვ. 62, ფასი 9 კაპ.

„მეცნიერება"

იოანე დრასხანაკერტელი — სომხეთის ისტორია (786-925 წწ.) სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევით და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა. გამომცემლობის რედაქტორი — ც. თავაძე. გვ. 316, ფასი 2 მან. 18 კაპ.

ჟურნალები აგვისტოში

გამოვიდა ჟურნალ „მნათობის" მერვე ნომერი. ჟურნალში დაბეჭდილია: სარედაქციო წერილი „იოსებ გრიშაშვილი", გ. შატბერაშვილის ლექსები და მოთხრობა „მამალხისეს სიკვდილი", თ. ჭილაძის, თ. ჯანგულაშვილისა და ჯ. ჩარკვიანის ლექსები.

პროზის განყოფილებაში წარმოდგენილია: ა. სულაკაურის რომანი „ოქროს თევზი", ზ. რატიანის და ლ. ჩანტლაძის მოთხრობები და ჟან პოლ-სარტრის „სიტყვები", (დასასრული, თარგმანი ფრანგულიდან კ. ჯავრიშვილის და გ. ბუაჩიძისა).

კრიტიკისა და ლიტერატურის ისტორიის განყოფილებაში მოთავსებულია: გ. ვახანიას „ვაჟა-ფშაველა და ქართველი სამოციანელები", ვ. ჟღენტის „ვაჟა-ფშაველას იურიდიული მოღვაწეობა", გ. ლეონიძის „დავით გურამიშვილი" და ქ. იმედაშვილის „რეალიზმის და პერიოდის" დასასრული.

ჟურნალი აგრძელებს მიხ. კვესელავას „ათასი ფუთი ბრილიანტების" ბეჭდვას.

წიგნების მიმოხილვის განყოფილებაში წარმოდგენილია გ. კანკავას, გ. ავალიანის, ი. ზაქარიაშვილის და დ. ცისცაძის რეცენზიები.

* * *

„დროშის" აგვისტოს ნომერი, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა, იხსნება ფოტონარკვევით [illegible]. შემდეგ ჟურნალში დაბეჭდილია ვლ. სიდრაშვილის „მან წინ მიჰყავს", ლ. თაბუკაშვილის „ლეილა აბაშიძე", გ. ლაბაძის „ფიქრები ხანისწყლის ბორანთან", დ. შარაშიძის „კახური ხილის პერსპექტივა", ალ. ქუთათელის „როცა ამ პროსპექტზე მივდივარ", ბ. სვანის „ირაკლი მეთუმაშვილი", ი. თარბას ლექსები (თარგმანი ჯ. კალაძისა), შ. თელიას „საქართველოს კარიბჭესთან" (დასასრული), ბ. შატბერაშვილის „ირემი, მთასა მყვირალო" (მოთხრობა), გ. ჯაფარიძის „ფიროსმანის ფერწერული პორტრეტი", ს. დემურხანაშვილის „მეცხვარის დაბრუნება" (მოთხრობა), ვლ. ჯიბუტის „სახელოვანი გზა", თ. ჯანგულაშვილის „ზეთისხილის ხის ბალადა", ი. დემეტრაშვილის „თვალი პატიოსანი" (გაგრძელება), თ. ოქროშიძის „ფურის დაყვავებისა", შ. სმირნოვას „ბავშვები და ტელევიზორი", ს. მეტეიჰის „35 წელი მარჯვენა ფრთაზე" (თარგმანი დ. კოკაია-ფანჯიკიძისა), გ. კონტრიძის „სიზმარი", „ქართველი ტანკისტი პოლონურ ეკრანზე" და სხვა.

ქალი ჩანგით.

მხატვარი ა. ფოჩხუა.

პატარა მეფრინველე.

ფოტოეტიუდი ა. ჩარკვიანისა.

სალი კლდის მკვიდრი.

ფოტო ვ. გოგაძისა.

იუმორი

„განქორწინება იტალიურად"—თბილისურად

ჩემი ცოლი უცხო ენათა ინსტიტუტში საზღვარგარეთული მოდებისა და კინომსახიობების სიყვარულით შევიდა. პოდა, მართლით ეკრანის ამბები ახლა ისე წყალივით იცის, რომ აფსუსია მისი „მავაძის" პატრონი ჟორჟ სადულის ასისტენტი მაინც არ იყოს. ეს ბარდოო, ეს მასტროიანი, ისე წამოჰკრავს ხოლმე ხელს, თითქოს მთელი ბავშვობა ერთად გაეტარებინოთ და ახლაც დიდი მეგობრები იყვნენ. თანაც ერთი რამ სჩვევია — პოპულარულ მსახიობებს მხოლოდ სახელით იხსენიებს ხოლმე. ეს უფრო ეფექტურია. დიახ, მხოლოდ სახელით და, ახლა იმას არ იკითხავთ, როგორ? აგერ, ნაბახუსევზე რომ გადავწვები და გავძახებ კარის მეზობელს — — ნოდარა თავსავა, ხინკალზე რავა ხარ ამ დილაზე-მეთქი, სწორედ ისე. აი ასე გამდა მისთვის ბრიჯიდ ბარდო — ბრიჯიდა, სპარტაკ ბალაშვილი — სპარტაკა, ოთარ კობერიძე — ოთარა და ა. შ.

ერთხელ, როცა წინასწარ ერთმანეთის ნებასურვილის საფუძველზე ორივე მხარემ მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ კინოში წავსულიყავით, დროზე კი მოვედი შინ, მაგრამ უგუნებოდ შევიქენი და დაწოლა დავაპირე. ჩემი ქალბატონი ამ დროს სარკის წინ კობტაობდა და ვეებერთელა სავარცხელი ისე გაერჭო პირში, როგორც შემოსატევის მეკობრეები მტრის გემბანზე ჩამოკონწიალებულები შეესევიან ხოლმე. ასეთი ასოციაცია რატომღაც ურიად შემიშნა და ძლივს ამოვილუღლუღე: ა, ქალო, რა მეკინოება, სიცხე მაქვს ორმოცი გრადუსი მეთქი.

— ორმოცი გრადუსიან კონიაკს ჩაცუტლავდე და, აბა, რა იქნება! არა, რათ უნდა ამას კინო და თეატრი, — სავარცხელი დანასავით დაიძრო პირიდან და ხელები გაშალა. — კაცო, მასტროიანი თამაშობს, გესმის, მასტროიანი, რაზვოდ პა იტალიანსკი, იტალიური ფილმია.

— იტალიური?

— ჰო, ჰო და არ დამიწყო ახლა იტალიური, აბრძანდი და წამობრძანდი. მასეთი სიცხე შენ ხელ გაქვს.

ეს „აბრძანდი", „მობრძანდი" და მისთანანი რატომღაც ზრდილობიან ფორმებად არის მიჩნეული ლიტერატურულ ენაში, მაგრამ პრაქტიკულად მათ ისე გამოყურის ხოლმე ქალებში ჩემი ქალბატონი, რომ „წავთრიე", და „დავკდე" შედარებით ზრდილობიანია მათთან. მეც მეყვიადე „წავბრძანდებულიყავი", მაგრამ ამაოდ, ჩავწექი და კაი ორიოდ დღე „ვებრძანდებოდი" ლოგინში. ამასობაში „განქორწინება იტალიურად" ჩვენს გარდა ყველამ ნახა და ცოლის საყვედურებს გაძლება არ უნდოდა? ერთხანს ვამშვიდებდი, ტელევიზიაში მაინც იქნება მეთქი, მაგრამ მე რომ ბედი მქონოდა...

და აი, წამოვდექი, თუ არა, პირველი გასეირნება საბავშვო ბაღისკენ მოვაწყვეთ, რა თქმა უნდა, მისი წინადადებით. წამოვიყვანეთ ბავშვი და ის იყო კინოთეატრ „ყაზბეგს" გავუსწორდით, რომ კინოდამ ბული გამოხეთქა, ისე წამოიყვირა: „უიმე, რაზვოდ პა იტალიანსკი გადის თურმე" თურმე, აი რავარი შიტია! ვითომ არ იცოდა. მოცლელი, მივხვდი, რომ ჩაწყობილი საქმე იყო, რომ წინასწარმეტყველის ნიჭით უეჭველად მიხვედრილი იქნებოდა და შევედით. შევედით, მაგრამ ხალ შევედით, რა ვნახეთ

— რა დღეშია ეს ჩვენი მასტროიანი — ფეხებ-გიჟდება კაცი, პირდაპირ ტვინს იჭყლეტს, როგორმე თავიდან რომ მოიშოროს... ცოლი. ჯერ სარკეს ქვებში უნდა ჩაახრჩოს, მერე ჭაობში, ბოლოს ნაძალადევ საყვარელს მიუჩენს, თან რევოლვერს მიიმზადებს. ბოლოს, აისრულებს საწადელს. ცოლს საიქიოს გაისტუმრებს, თვითონ კი იქორწინებს წვრილ ანჟელაზე, რომელიც სხვათა შორის, მისი ბიძაშვილია. საზეიმოდ ქლერის ფინალი. ეკლესია. ბედნიერი ახალდაქორწინებულები თვალებში შესციცინებენ ერთმანეთს... იქ, დიდებული მორალია, ისეთ ცხვარი დაუმშვენდა მაგის დამდგმელს მეთქი, გავიფიქრე და გამოვედი. მერე ჩემს ქალბატონს მოვდექი და, იცოცხლე, გული ვიჯერე!

— რა ვიცი, გადასარევია და...

— გადასარევი კი, პოდა ასე არ იქნება ახლა მეც რომ გადავირიო და მაგ შენი მასტროიანივით მოგექცე. ა?

მაგრამ მან ხმა არ ამოიღო. ბიჭოს ამას რას მოვესწარი მეთქი, გავიფიქრე და გავჩუმდი, აბა, რომელი ჭკუათმყოფელი ქმარი დაიწყებს ჩხუბს, როცა ცოლი დადუმდება.

ფილმი არ მომეწონა და გაზეთში წერილი ვაფრინე.

დღეს დღე მისდევდა, კვირას კვირა. ღამით უძილობა დამჩემდა, დილით უთენია გავრბოდი უახლოესი კიოსკისაკენ, მაგრამ ამაოდ, არ იქნა და არ გამოჩნდა გაზეთში ჩემი ნაშოღვაწარი. მაშინ ავდექი და თავად ვეახელი რედაქტორს.

— თქვენი წერილი? დიახ, მივიღეთ, მაგრამ ვერ დავბეჭდეთ. რატომ? მე კაცო, მთელმა ქვეყანამ აღიარა ეს ფილმი და ჩვენ ვაგინოთ?

— დიახ, უნდა ვაგინოთ, რამეთუ მისი მორალია ცოლები დახოცეთ და ბიძაშვილები შეირთეთო.

— ყმაწვილო, ჟურნალისტობაზე თავს სდებთ და ის ვერ გაგიგიათ, რომ ფილმი ამას დასცინის ფილმი. იგი ხომ სატირული ჟანრისაა. აი გაიხსენეთ ფინალური სცენა. პლაჟი. საბანაო კოსტუმებში გამოწყობილი ფეფე და ანჟელა ერთად წამოწოლილან და კოცნებით, მზე და მთვარე ამოსდით ერთმანეთზე. სინამდვილეში კი ანჟელას ფეხი გადაუდვია ახალგაზრდა მენავესაკენ. ამ მრავალსიმბოლურ დეტალში რეჟისორმა ჩააქსოვა ფილმის მთელი ფილოსოფიური აზრი და, ამით სატირად დასცინა გრძნობებს აყოლილ ფეფეს, რომელმაც ცოლი გაისტუმრა საიქიოს, რათა გაცილებით უმცროსი ანჟელა შეერთო. ბუნებრივია, ანჟელას მალე მობეზრდება ფეფე და გული სხვისკენ, უფრო ახალგაზრდისკენ მიუწევს. ყველას, ვინც ფეფესავით მოიქცევა, ასეთი ბოლო ელის. აი ეს არის ფილმის მორალი, გასაგებია?

— კი ბატონო, მაგრამ მე რომ ვნახე, ეს ფილმი ასე არ დამთავრებულა.

— რაო? ასე არ დამთავრებულა? ახლა ეგებ ისიც მითხრათ, გუშინ „ჩაპაევი" ენაზე და გადაცურა მეორე ნაპირზე?

— არა, მართლა გეუბნებით, ცოლიც მახლდა...

— მაინც სად და როდის ნახეთ?

— დეკემბრის 12-ში, კინოთეატრ „ყაზბეგის", დღის 5 საათის სეანსი, — ჩავუკაკლე დამნებული ბავშვივით.

— იქნებ სცდებით.

— როგორ გეკადრებათ!

თუმცა რედაქტორს კი არა, თქვენ როგორ გეკადრებათ ეს, კინოთეატრ „ყაზბეგის" მუშაკებო, ის არ გეყოფათ ნაწილიდან ნაწილზე გადასვლისას რომ „სტოვებთ" ხოლმე და [illegible]

გოგია წარბა

ციყვის დისერტაცია

ციყვმა ბევრი აწვალა
თავის დისერტაცია,
თემა არის: რწყილების
ყბების ოპერაცია.

მერე მოინახულა
სანდო ოპონენტები,
ტურა, კვერნა, მელია —
მეუნაგები, ყბედები.

უთხრა: ვიცი წყალივით
რწყილის ანატომია
და ეს მეორე ნაშრომიც
დიდ შრომათა ტოლია.

ტურამ კი სთქვა: რწყილი ხომ
შფოთიანი მწერია,
ამ ყურაცის კბილებზე
მეც ბევრი მიწერია.

...და ჰა, ციყვმა ოფლის ღვრით
მოიპოვა ხარისხი,
ბანკეტი... — ცივები.
ამბობს — ღვინო დამისხით.

ფეხზე დგება, ოპონენტი
კრძალვით მიეფერება
და ქებას ციყვი: გამდიდრდა
ჩვენი მეცნიერება.

დავით თვალჭრელიძე

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.
სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ნ. გურეშიძე, გ. ლეონიძე, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი, ერ. ქარელიშვილი, ხ. ჩიქოვანი, თ. ჯანგულაშვილი, უ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66449 რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის 9-54-04, პასუხისმგებელი მდივნის და განყოფილებების 9-67-10, საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00794